საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის

პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით

პირველი, 12 ოქტომბერი, 1919 წ.

ერი

ფასი 2 მანეთი

გაზეთი დიერს 1 თვით 50 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 2 მანეთი, განცხადების ფასი, რეგულარულ გვერდზე, ისე მეოთხეზე, ჰეტიტის სტრიქონი 3 მანეთი. სამკლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომისა 60 მანეთი. ნისია განცხადებები არ დაიბეჭდება. რედაქ. და კანტორის ადრესი: რუსთაველის ბრ. № 24.

ტელეფონი 16—62.

№ 232 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 232

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე იოსებ დიმიტრის ძე ცომაია, შვილები: ეორეი, ნინა და შალაკო, დედა ელისაბედი ბარკალაია თავის შვილებით, მაზლები: ანდრო, ისიდორე, ილარიონ და მული ოლღა ცომაიები აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს უდროოდ დაკარგვას ძვირფას და დაუვიწყარ

ოლღა (ოლია) ანდრიას ასული ცომაიასა

დაკრძალვა ქ. ფოთს, ნახუტურის სასაფლაოზე, კვირას, 12 ოქტომბერს საღამოს 4 საათზე. პანაშვიდი ყოველ დღე საკუთარ სახლში ლევაშოვის ქ. (6.—1—1)

ღრმათ დამწუხრებულნი მშობლები: კესარია და მათე, ძმები: სევერიანე, სარდიონ და ფალოდია, დები: კალენტი, ლიუბა, მარინე, თამარა, ნინა და შუშანა აუწყებენ მოკითეებს და ნაცნობებს, რომ 18 ოკტომბერს ს. ზემო აკეთში დანიშნულია ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი ტრადიციულათ დაღუპულ სახლობა გვარდიის განსაკუთრებულ ბათალიონის უფროსის

სიმონ მათეს ძე ხუხუნაიშვილის

სულის მოსახსენებლათ (2675—1—1)

ეფროსინე მიხეილის ასული წივწივაძისა შვილებითურთ გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ, რომ უდროოდ გარდაცვალებულ შვილთა

ალექსანდრეს და ივანეს სიმონის ძე წივწივაძეების

სულის მოსახსენებლად წლის წირვა და პანაშვიდი დანიშნულია კვირას 12 ოქტომბერს დიდუბის ეკლესიაში. წირვა დაიწყება 10 საათზე, პანაშვიდი კი 12 საათზე. (2673—1—1)

მუდამ მწუხარებაში მყოფნი: მამა იაგორ ხომერიკი, დედა ელისაბედი ძმები: ნიკო, სოლომონ, ეროდიონი, ხარიტონ და ზაქარია, რძლები: მატრონე, ალექსანდრა, მარიამი და მატრონე შევარდნაძის ასული ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ ოთხშაბათს, 15 ოქტომბერს (ახ. სტ.) ს. ლეხაურში, დავითი და კონსტანტინეს ეკლესიაში გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი უდროოთ დაკარგული დაუვიწყარი

ნატაშა ეიაგორის ასული ხომერიკის

სულის მოსახსენებლათ. (2666—1—1)

ღრმად დამწუხრებული დედა მატა დუმბაძისა, ძმები: იულონ, რაჟდენ და გიორგი დუმბაძეები, დები: ეკა ეღენტისა, კასინე ჩიჩუასი, ანეტა ავალიანისა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ სამშაბათს 14 ოქტომბერს გადახდილ იქნება ს. ზენობნის ეკლესიაში წლის პანაშვიდი უდროოთ გარდაცვალებულ ძვირფასი

კესარია და თამარა თავგერიძის

სულის მოსახსენებლათ. (2671—1—1)

აგრარული საკითხი ადერბეიჯანში

ადერბეიჯანის პარლამენტის დღიურ წესრიგში შეტანილი იყო მიწის კანონ-პროექტი. აქამდის ადერბეიჯანს მიწათ-მფლობელობის სფეროში თითქმის არავითარი ცვლილება არ განუცდია. ძველი, სრულიად დრო მოქმული, საშუალო საუკუნოებიდან დარჩენილი ფეოდალური წესი მიწათ მფლობელობისა თითქმის უცვლელად დარჩა. თუ ჩვენში ფეოდალურ ნაშთების გაუქმებაზე იყო ლაპარაკი, ადერბეიჯანში თვით ფეოდალიზმის დანგრევას მოითხოვს ისტორიული მომენტი.

ჯერ კიდევ იმ დროს, როდესაც ამიერ-კავკასია განუყოფელი იყო, მისმა სეიმმა უკვე შეიმუშავა კანონი ფეოდალურ მამულების, საეფისკოპოსო, საეკლესიო და სხვა მიწების კონფისკაციის და მიწის ფონდის დაარსების შესახებ. მაგრამ ეს კანონი ამიერ-კავკასიის დანაწილების შემდეგ მხოლოდ საქართველოში გატარდა, ადერბეიჯანში და სომხეთში ეი ქაღალდზე დარჩა. მას შემდეგ საქართველოს პარლამენტმა მიწის რეფორმის მეორე ნახევარიც დაიკანონა—მიწის მშრომელთა ხელში გადაცემის შესახებ. ჩვენს მეზობელ სახელმწიფოებში ეი მიწის რეფორმის საქმე ერთ წერტილზეა გაყინული.

მიწათ-მფლობელობის წესებს ჩვენს მეზობელ სახელმწიფოებში დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი რესპუბლიკისათვისაც. ეს უნდა დანაწილებული იყოს ამიერ-კავკასია მისი ნაწილები მჭიდროთ არიან გადაბმულები ერთმანეთთან; ეს უნდა ირღვეოდეს მათ შორის კავშირგანყოფილება, ეკონომიური კავშირი მათ შორის ისე ძლიერია, რომ ერთი სახელმწიფოს მეორისაგან სრული ამოშორება შეუძლებელია, ერთი სახელმწიფოს შინაური ცხოვრებას მეორეზე გავლენა ექნება. მეორე სახელმწიფოზე და ეს ყველაზე მეტათ აგრარულ მფლობელობის წესებზე ითქმის, რადგან ამიერ-კავკასიის ყველა ნაწილებში მიწათ მოქმედებაა ცხოვრების უმთავრესი წყარო. რაც უფრო მსგავსი სამიწათ მოქმედო წესები იქნება შემოღებული ამიერ-კავკასიის ყველა სახელმწიფოებში, მით უფრო ადვილი იქნება მათი დაახლოვება, მით უფრო მსგავს პირობებში იქნება ჩაყენებული ამიერ-კავკასიის ნაწილების ფართო მასსა, მით უფრო ადვილათ იგრძნობს ყველა ამ ნაწილების დემოკრატია თავის ინტერესების ერთიანობას, მით უფრო მალე დამყარდება დემოკრატიაში მისწრაფება კეთილ მეზობლურ კავშირის ჩამოგდებისადმი. ვერავითარი ქადაგება ვერავითარი პროპაგანდა ვერ იზამს ამიერ-კავკასიის ერთა შორის შუღლს და მტრობის მოსპობის საქმეში იმდენს, რამდენსაც იზამს ერთნაირი მიწათ-მფლობელობის წესები.

ამიტომ ჩვენ არ შეგვიძლიან დიდის ყურაღღებით არ მოვეპყრათ ყველა ის ნაბიჯები, რომლებსაც მეზობელი სახელმწიფოები გადასდგამენ მიწის საკითხის გადასაწყვეტათ. ადერბეიჯანის პარლამენტის აგრარულ კომისიის მიერ შემუშავებული კანონ-პროექტი. არსებითად ძალიან წაგავს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ მიწის კანონს: იგივ კონფისკაცია კერძო მემამულეთა, საეკლესიო, საეფისკოპოსო მიწებისა, იგივ შრომის ნორმის დაწესება და უადგილ მამულოთა ხელში გადაცემა. მთავარი განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ ადერბეიჯანის საპარლამენტო კომისიის პროექტით წვრილ მესაკუთრეებს ჩამორთმეულ მამულში განსაზღვრული ფასი ეძლევათ. რაც შეეხება დასარიგებელ მიწის ნორმას, კომისიამ ეს საკითხი ღიათ დასტოვა და გადასწყვიტა მისი გადადება დამფუძნებელ კრების მოწვევამდის.

სამწუხაროთ, აზერბეიჯანის პარლამენტმა კომისიის მიერ შემუშავებულ კანონ პროექტის განხილვა სხვა დროისთვის გადასდო. სამწუხარო აქ უფრო ეს არის, რომ ეს გადადება მოხდა არარაიმე იდეურ მოსაზრებით: მმართველ პარტიის ოფიციოზი ამ გადადებას ისე სუსტათ ასაბუთებს, რომ მკითხველმა მხოლოთ ერთი დასკვნა უნდა გამოიტანოს: ადერბეიჯანის პარლამენტმა იმიტომ მოინდომა მიწის კანონის დასამარება, რომ ამ პარლამენტის უმრავლესობას შედგენენ მემამულეთა კლასის წარმომადგენლები, რომლებსაც სურთ მიწა მემამულეთა ხელში დასტოვონ.

მაგრამ ჩვენ დაწრმუნებით შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ფეოდალურმა მიწათ მფლობელობამ უკვე დრო მოიპარა, მას ფესვები იმდენათ მოულპა, რომ მისი გადარჩენა შეუძლებელია, როგორც ყველგან, ისე ადერბეიჯანი, ფეოდალ მეურნეობამ ჩრჩილივით დაღრღნა ნატურალური მეურნეობა და კარჩაკეტილობა ძველ მიწათ-მფლობელობის წესების დღეები იქაც დათვლილია, თუნდაც ადერბეიჯანის გაბატონებულმა კლასებმა უარი სთქვან მიწის რეფორმის ნებაყოფლობით გატარებაზე, ფეოდალურ წესების დანგრევა სულ ერთია მაინც მოხდება, მაგრამ ეს მოხდება ბევრათ უფრო მტკივნეულათ, ბევრათ უფრო ანარქიულად, და შესაძლებელია, თვით გაბატონებულ კლასებისთვისაც ბევრათ უფრო საზარალოდ, ვიდრე მიწის რეფორმის პარლამენტარული გზით გატარების დროს.

ამის ნიშნები ადერბეიჯანის ცხოვრებაში უკვე აშკარაა. საკმარისია გავიხსენოთ ის სურათი, რომელსაც გადგილ ქონდა ყაზახის მაზრის გლეხთა ყრილობაზე. ამ ყრილობაზე ორი მიმართულება შეეჯახა ერთმანეთს: ბოლშევიკურ კომუნისტური, რომელიც მიწის ანარქიულად დატაცების ნიადაგზე იდგა, და სოც.-დემოკრატიული, რომელიც მიწის დემოკრატიულ რეფორმის გატარებას მოითხოვდა. ამ უკანასკნელმა გაიმარჯვა მცირე უმრავლესობით. მაგრამ ეჭვი არ არის, რომ თუ სოც.-დემოკრატების მიერ ნაჩვენებ გზით არ მიახერხდა მიწის რეფორმის გატარება, ილაჯ-გაწყვეტილი გლეხკაცობა კომუნისტებისაკენ გადაიხრება და ამას მოჰყვება ანარქია, სამოქალაქო ომი და ყველაფერი ის უბედურება, რაც ბოლშევიკურ რუსეთში ხდება და რაც აქამდის თავიდან აშორდა ამიერ კავკასიის დემოკრატიას.

ჩვენი სასამართლო

ზედმეტად მიგვაჩნია სასამართლოს მნიშვნელობაზე ლაპარაკი: სანამ არსებობს კერძო საკუთრების საფუძველზე აგებული მეურნეობა და სახელმწიფო თავისი იძულებითი აპარატით, სასამართლოც ერთი მნიშვნელოვან ელემენტთაგანი იქნება. მისი მოქმედების საგანია შეამოწმოს მოქალაქის მხრით არსებულ ურთიერთობის დარღვევა და ამ დარღვევისათვის ანაზღაურება მოსთხოვოს: სისხლის სამართლის ნორმის დამრღვევს, —ბოროტ-მომქმედს ის უნიშნავს კანონით დაწესებულ სასჯელს, ხოლო სამოქალაქო სფეროში მტყუან მხარეს ქონებრივ ანაზღაურებას ავალებს.

თავი და თავი მნიშვნელობა აქვს სასამართლოს მოქმედებაში დროს: მიუდგომლობის და სათნოების პრინციპთან ერთად იუსტიციის იდეალად არის წამოყენებული პრინციპი სისწრაფისა. მართლაც, რა მნიშვნელობა უნდა ქონდეს სამართლის ყველა კარგ მხარეებს, უკეთუ მას თავის დროზე ვერ ეღირსება დაინტერესებული პირი.

სამწუხაროთ დღევანდელი ჩვენი სასამართლოს მოღვაწეობაში ყველაზე უფრო მივიწყებულია საქმის ეს მხარე. სიამოვნებით უნდა აღინიშნოს, რომ მექთამეობას და სხვა ბოროტებას სასამართლო უწყებაში ნაკლებად აქვს ალაგი. მაგრამ ამ კარგი მხარეების მნიშვნელობას სრულებით აქარწყლებს სასამართლოში გამეფებული უმოქმედობა, მოქალაქეთა ინტერესების აბუჩად აგდება. ამის შედეგია ის, რომ სისხლის სამართლის სფეროში მრავალი დამნაშავე დაუსჯელი რჩება ან ისჯება ძალიან გვიან, როცა მის დასჯას არავითარი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აღარ აქვს გარეშეებისათვის. კიდევ უარესადაა საქმე სამოქალაქო ნაწილში: მთელი თვეების განმავლობაში გაურჩეველი რჩება ისეთი საქმეები, რომლის გადაწყვეტა დიდი დიდი ორ სამ კვირას ითხოვს. ასეთ პირობებში სრულიად ქრება პასუხისმგებლობის გრძნობა და გარდა იმისა, რომ ფერხდება აღებ-მიცემობა, თვით სახელმწიფოსაც დიდათ ეტყდება სახელი ამავე დროს მოსამართლეთა და კანცელიარიის მოხელეთა დიდი შტატი თითქმის გულზე ხელდაკრეფილი ზის. და არ სჩანს ხელი, რომელმაც ამ ხალხს სამუშაო უნდა მიუჩინოს, საქმეზე დააყენოს. საკმაოა ერთხელ მაინც შეიხედოთ სასამართლოს შენობაში, რომ ცხადათ დარწმუნდეთ ჩვენ მიერ ნათქვამის სინამდვილეში. სხდომის დარბაზი თითქმის მუდამ ცარიელია, ხოლო კანცელიარიები სავსეა ქალებით, რომელნიც მაგიდების გარშემო სხედან და უდარდელ მუსაიფს აწარმოებენ.

ასეთი მდგომარეობის განგრძობა დაუშვებელია. განსაკუთრებით საჭიროა უმოქმედო თავმჯდომარეების ნაცვლად მომქმედი, თაოსნობის მქონე პირების ჩაყენება, საჭიროა ხშირი რევიზია და ანგარიშის მოთხოვნა.

წინაღმდეგ შემთხვევაში ხალხი სრულებით ჩამოშორდება სასამართლოს და ადმინისტრაციის თვითნებობას და უკანონო მოქმედებას კიდევ უფრო გაუფართოვდება სარბიელი.

საჭიროა ყურადღება მიაქციონ ამ გარემოებას როგორც იუსტიციის სამინისტრომ, ისე დამფუძნებელ კრების მცირე იურიდიულმა კომისიამ.

პრესა

„აზხატავორი“ (№ 211) ბ. დავითხანოვის ინციდენტის შესახებ შემდეგს სწერს „ერთობის“ საპასუხოთ:

„ჩვენ არ გვესმის, რატომ „ერთობა“ ღობე-ყორეს ედება, ის ჯერ ისე არ გამხეცებულა, რომ პარლამენტის დეპუტატებზე სკამის სროლა საჯაროდ აქოს, მან კარგად იცის, თუ როგორ მოექცნენ მისი ამხანაგები ამ ფაქტს, აგრეთვე იცის ისიც, რომ თვალსაჩინო ერთობელები, ცნობილი სომეხ-ბამია კირილე ნინიძის მეთაურობით აქებდნენ თავიანთ „გმირობას“ და ნანობდნენ, რომ სომეხ დეპუტატებისთვის კარგათ არ უცემნიათ“.

დაშნაკელები თავიანთ დეპუტატის უკულტურობას პრესის უზნეობას უმატებენ და ყოვლად ბოროტად სარგებლობენ თავიანთი მკითხველების ნდობით. ჩვენ არ გვესმის რა საჭირო იყო ასეთი აშკარა ტყუილების დაწერა. ჯერ ერთი ბ. დავითხანოვისათვის სკამი არავის უსვრია. მეორეც ის, რომ ბ. დავითხანოვის უზრდელობამ აღშფოთება გამოიწვია ქართველ ნაციონალისტურ ფრაქციების ბანაკში, და ჩვენს ფრაქციას ამ ინციდენტში არავითარი მონაწილეობა არ მიუღია, მისი წევრები, პირიქით, ამშვიდებდნენ აღელვებულ დეპუტატებს ნაციონალისტების მხრიდან. კერძოთ კირილე ნინიძესაც არ მიუღია რაიმე მონაწილეობა ამ საქმეში. მაშ რად დასჭირდა „აზხატავორს“ ჭორების გავრცელება?

მართალი უთქვამს პოეტს: კოკასა შინა რაცა სდგას, იგივე წარმოდინდებისო!

* * *

„აზხატავორს“ (№ 213) მოჰყავს ლიუცერნის საერთაშორისო სოციალისტურ კონფერენციის მიერ მიღებული შემდეგი ფორმულის ერთი ნაწილი:

„საერთაშორისო კონფერენცია, აღშფოთებული სომეხ ხალხის ეღლეტის გამეორებით მოითხოვს კაცობრიობის წინაღმდეგ საშინელების ბოლოს დადების საჭიროებას; იგი აცხადებს, რომ სახავო კონფერენციაში მონაწილეობის მიმღები მთავრობანი მოვალენი არიან იხმარონ ყველა საჭირო საშუალებანი, რომ მოისპოს ბარბაროსობის სისტემა და ინდივიდიალური ექსპლოატაცია, რომელიც გრძელდება კავკასიის საზღვრებში“. ამას გაზეთი უკეთებს შემდეგ კომენტარიას:

„ამ ფორმულის წინაღმდეგ უთქვამს სიტყვა საქართველოს სოციალ-დემოკრატიის წარმომადგენელს წერეთელს. ვერ შეგვიძლიან დავიჯეროთ, რომ წერეთელმა არ იცოდეს, თუ ჩვენში ერების რა ბაბილონის გოდოლი, უაღრესათ გაფართოვებული ანტაგონიზმია, და ის ხიფათი, რომელიც ამის გამო მოელის ამიერ-კავკასიის ყველა ერებს“.

დაშნაკელები ჩვენ ამხანაგებს ევროპაშიც არ უსვენებენ და ცილს სწამებენ. ჭორები, სიცრუე, ცილისწამება—ასეთია „აზხატავორის“ სამ მუხლიანი მრწამსი.

უკანასკნელი ნოგები

საგარეო საქმეთა მინისტრის ნოტა.

ოქტომბრის 9. საგარეო საქმეთა მინისტრმა ევ. გეგეჭკორმა შემდეგი ნოტა გაუგზავნა ბრიტანეთის უმაღლეს კომისარს: „თქვენო ღმატებულებავ! საქართველოს რკინის გზის მიდამოების, რომელიც სამხედრო წესებზეა გამოცხადებული, გენერალ გუბერნატორი გვაუწყებს, რომ ბათუმ-ნატანების ნაწილის რკინის გზის დამცველ რაზმებს ფაქტიურად საშუალება არა აქვთ სათანადოდ დაიცვან რკინის გზის ლიანდაგი, რადგან მათ უფლება არა აქვთ იარაღი იქონიონ რკინის გზის სადგურებზე გამოსვლის დროს. და მოახდენონ იმ ბოროტ-გამზრახველ პირთა დაპატიმრება, რომელთაც კავშირი აქვთ სამგზავრო მატარებლებზე მომხდარი დავფასხმებთან.

რაიონების მილიციის უფროსები აუწყებენ გენერალ გუბერნატორს, რომ მძარცველების თავხედობამ უმაღლეს წერტილს მიაღწია. ისინი თავისუფლად შედიან სატგურებს შენობებში და მატარებლების მცველებს დიდ ფულს აძლევენ, რომ ნება მისცენ მათ მატარებლების გასაძარცვავად. მათ არავინ აპატიმრებს; რადგან რკინის გზის მილიცია მოკლებულია საშუალებას მოახდინოს დაპატიმრება, თუმცა მილიცია მძარცველთაგან ბევრს იცნობს.

გაუწყვეტ რა ამას, ვთხოვ თქვენ ღმერთებულებას სათანადო განკარგულება გასცეთ, რათა რკინის გზის მცველებს და მილიციას უფლება მიეცეს დაუბრკოლებლად ატარონ იარაღი რკ. გზის მიდამოების მთელ ხაზზე, შიგ ბათუმამდე, და აგრეთვე ატუსაღონ დამნაშავენი და შემჩნეული პირნი,—წინაღმდეგ შემთხვევაში გენერალ-გუბერნატორს არ შეუძლიან თავის თავზე მიიღოს ნატანებ-ბათუმის ნაწილში მატარებლების უშიშრად მიმოსვლის პასუხისმგებლობა.

თქვენო ღმატებულებავ, მიიღეთ რწმუნება ჩემი თქვენდამი პატივისცემისა და ერთგულობისა.

საგარეო საქმეთა მინისტრი

ევ. გეგეჭკორი.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

10 ოქტომბერი.

ნოვოროსიისკი, ოქტ. 10. მოხალისეთა ჯარის სამხედრო ცნობა. სექტ. 26. ცარიცინის ფრონტზე არსებითი ცვლილება არ მოხდა. დონის ფრონტზე ჩვენი გმირული არმია უტევს. ჰავლოვის და ლისკის რაიონში ხელში ჩავიგდეთ 3000 თოფი, 77 ზარბაზანი, 39 ტყვიისმფრქვეველი, 32 ორთქმავალი და სანიტარული და საინტენდანტო, ტელეგრაფის და ტელეფონის ქონება. ორლოვის მიმართ. ჩვენ დაიპყრეთ სოფ. ვოინსკოვო, ნიკოლსკოე და ურასნიკოვო. ბრიანსკის მიმართ. ქ. დიმიტროვსკი დავიპყრეთ. კიევის რაიონში მდგომარეობა არ შეცვლილა. პეტლიურას(?) ფრონტზე ჩვენმა ჯარმა დაიპყრა სევასტიანოვკა, ივანგოროდი, დაბა და სად. ბერშუდა, სოფ ლოვოდოლუგი, სტაროლუგი, სტუდიონნოე. წამოვიყვანეთ ტყვეები, ხელში ჩავიგდეთ ტყვიისმფრქვეველები. (ცუდი ამინდის გამო ცნობების მიღება გაძნელებული იყო).

ბოლშევიკური ცნობები.

მოსკოვი. ოქტ. 10. დენიკინი ინგუშებისაგან, ჩერქეზებისაგან, კალმიკელებისაგან და ოსებისაგან ადგენს დამკვრელ პოლკს. მათ ასმენენ მაგარ სასმელებს და ნებას აძლევენ ხოცონ მცხოვრებლები, ძარცონ-და გლეჯონ. ჩვენ არასდროს არ შეჯვიდგენია ასეთი პოლკი ხალხის საწინააღმდეგოდ, მაგრამ მშრომელი ხალხის მტრების საწინააღმდეგოთ ჩვენ უნდა შევადგინოთ დამკვრელი პოლკები. ვისაც არ სწყრს დაბრუნდეს ძველი ჟანდარმების დრო, უნდა წამოვიდეს ჩვენთან, მთელი ქვეყნის მშრომელთა რაზმში.

რომი. ოქტ. 9. შემოერთებული ოლქების მინისტრმა ადგილზრივ უნივერსიტეტის გერმანულ ჩამომავლობის ღარიბ სტუდენტებს ყოველ თვიური დახმარება დაუნიშნა.

ბელგოსტროვი. ოქტ. 7. ლონდონიდან დეპეშით იუწყებიან, რომ 8 ოქტომბერს ლარვიკში მოვიდა სამი სატრანსპორტო გემი, რომელმაც არხანგელსკიდან და მურმანსკიდან 1700 ინგლისელი ჯარისკაცი და აფიცერი მოიყვანა, მათ შორის არის გენ. ირონსაიდი, თავისი შტაბით.

ხარატოვი. ოქტ. 7. ორსკის რაიონში ჩვენ მხარეზე გადმოსულები გადმოგვცემენ, რომ დუტოვის ჯარი სულ დაიშალა. სარდლობამ ამის გამო დუტოვს მოხსენება გაუგზავნა, რომ ის პასუხისმგებლობაზე უარს ეცხადებს. დუტოვი დაპირდა, რომ კალმიკებს, ოსებს და ჩერქეზებს გაგზავნის დასახმარებლათ.

ნაუენი. 9 ოქტ. ჰაიზეს დაპრა იმდენად მსუბუქია, რომ ქირურგიულ დახმარებას არ მოითხოვს. იმედია, რომ რამდენიმე დღეში სრულიად კარგად იქნება. ჰაიზე ფიქრობდა ეროვნულ ყრილობის სხდომაზე გამოსულიყო ორშაბათს სენსაციონურ ცნობებით ბერლინში ჩრდილო დასავლეთ რუსეთის მთავრობის წარმომადგენლების მოქმედების შესახებ. მას სურდა საბუთებით დამტკიცებინა, რომ აღნიშნული წარმომადგენლები ბერლინში ნამდვილად იმყოფებიან და ერთი მხრით დენიკინთან და კოლჩაკთან არ სწყვეტენ კავშირს, მეორე მხრით გერმანიის მთავრობასთან აქვთ კავშირი. დამოუკიდებლები ამტკიცებენ, რომ თავდასხმა მოახდინეს იმ მიზნით, რომ ხელი შეეშალათ ჰაიზეს გამოსვლისთვის.

ბელგოსტროვი, ოქტ. 7. აღმოსავლეთ ფრონტის მთავარი შტაბიდან „ტაიმს“-ის კორესპონდენტი დეპეშით იუწყება, რომ შეერთებულმა შტატებმა თავის თავზე მიიღო კოლჩაკისთვის საბხედრო მასალის მიწოდება; მას ფულითაც დაეხმარებიან.

პსკოვი, ოქტ. 8 „პოლიტიშე პარლამენტიშე ნახრიხტენ“-ი უარყოფს გაზეთების ცნობას, ვითომ ნოსკე მოლაპარაკებას აწარმოებდეს მოკავშირეებთან თავისი თავის გერმანიის დიქტატორად გამოცხადების შესახებ.

ნაუენი, ოქტ. 9. ბიშოფის მოწოდებას კურლანდიაში მყოფ ჯარის მიმართ, ერთნაირად აკრიტიკებს როგორც მთელი სოციალდემოკრატიული პრესა, ისე სხვა. ის ფაქტი, რომ ბიშოფი მოკავშირეების მოთხოვნილებას უწოდებს უბრალო მუქარას, მოწმობს, გაზეთის სიტყვით, რომ უკანასკნელი წლის ამბებს მისთვის არაფერი არ უსწავლებია. მოელიან, რომ საქმეს ისე მოაწყობენ, რომ გერმანიას ცუდი შედეგებიარ მოუვა. ამავე დროს „დეიტშე-ალგემეინე ციტუნგ“-ი იუწყება: აღმოსავლეთ პრუსიის ობერ-პრეზიდენტმა ვინნინგმა განაცხადა, რომ კურლანდიიდან გერმანელების წასვლის შემდეგ წითელ ჯარს შეუძლია პრუსიის საზღვრამდე მივიდეს. სამხედრო ცნობა. ოქტ. 10. ჩრდილოეთის ფრონტი. პუდოჟის რაიონში ჩვენი შეტევა კარგად გრძელდება. დასავლეთის ფრონტი. ლუგის რაიონში მის დასავლეთით 25 ვერსზე ჩვენი ჯარი იბრძვის. ლეპელის რაიონში ბრძოლა ხან ჩვენ სასარგებლოდ არის და ხან მტრის სასარგებლოდ. ჩერნიგოვის რაიონში ჩვენმა ჯარმა სამხრეთ აღმოსავლეთისაკენ უკან დაიხია. სამხრეთის ფრონტი. გლუხოვის რაიონში ჩვენ შესტვინის ტყვიის ქარხნის რაიონში სოფლები დავიპყრეთ. სევსკის რაიონში კოროსტოვკასთან ჩვენი ჯარი იბრძვის. კურსკის მიმართულებით კრომის დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით 15—20 ვერსზე ბრძოლით სოფლები დავიპყრეთ. ბრძოლის შემდეგ ჩვენმა ჯარმა დაიხია. ბრძოლის დროს ჩვენ 30 ტყვე წამოვიყვანეთ. ხელში ჩავიგდეთ 1 ზარბაზანი და ტყვიისმფრქვეველი.

მალო არხანგელის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა ჩრდილოეთით და ჩრდი-

დღეს

ბერლინში ბაზე მსუბუქად დახვრეს.

მაროკოს აჯანყებულები საფრანგეთის ჯარმა დაამარცხა.

იტალიაში გაფიცვები სისტემატიურად ხდება.

უმაღლესი საბჭო დამაკმაყოფილებლად არა ხთვლის გერმანიის განმარტებებს ბალტიის პროვინციების დაცლის შესახებ.

კომუნისტები გავიდნენ ბერლინის მუშათა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტიდან. დამოუკიდებლების აზრით, კომუნისტებს თანდათან ნიადაგი ეცლებათ.

ომის გამო შვეიცარიას 6 მილიარდი ფრანკი უზარალნია.

საარის ოლქის მცხოვრებნი აღელვებული არიან საფრანგეთის ადმინისტრაციის მოქმედებით.

დუტოვის ჯარი ერთიანად დაიშალა.

პეტლიურასა და დენიკინელებს შორის სასტიკი ბრძოლებია.

კოლჩაკის დახმარება ამერიკას უკისრია.

საბჭოთა ჯარი ტობოლსკს მიუახლოვდა.

ლოეთ-აღმოსავლეთით 25—30 ვერსზე სოფლები დაიპყრა. ლიენის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა ბრძოლის შემდეგ უკან დაიხია და სად. რუკი-ბროდი დასტოვა. ლიენის სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩვენი შეტევა გრძელდება. პავლოვსკ-ხრიშჩატიას რაიონში პავლოვსკიდან 40 ვერსზე ჩვენი ჯარი სადკაზანკატასთან უტევს. ჩვენი ჯარი ვბრძვის დონის მარცხენა მხარეზე გადმოსულ მტერს, კაზანსკაიას დასავლეთით. ჩვენი ჯარი შემოტეულ მტერს ებრძვის. ბრძოლის შედეგები გამოუკვეველია. თურქესტანის ფრონტი. ურალსკის ჩრდილო-დასავლეთით სოფ. კარპოვთან ბრძოლა გაიმართა. დანარჩენ ფრონტზე მდგომარეობა არ შეცვლილა. აღმოსავლეთის ფრონტი. კურგანის რაიონში ზვერინგოლოვსკაიას ჩრდილოეთით 25 ვერსზე ჩვენი ჯარი ღამით მტერს თავს დაესხა, ტყვეები წამოიყვანა და ხელში ჩაიგდო ტყვიისმფრქვეველები. მთელი დღის განმავლობაში მტრის 30 ჰაერო-პლანი ფრინავდა. ტობოლის რაიონში ჩვენმა ჯარმა მასლოვს მიაღწია, (ტობოლსკის სამხრეთ-აღმოსავლეთით 17 ვერსზე).

მოსკოვი. ოქტ. 10. იტალიაში გაფიცვები სისტემატიურად ხდება. „ლოკალ ანცაიგერს“-ის ცნობით, იტალიის ტელეგრაფის მოსამსახურეებმა მოაწყვეს პასსიური გაფიცვები. გაზ. „სეკოლოს“ ს ცნობით, გაფიცვები ყველა ტელეგრაფის სადგურებს მოედო. რომში 20,000 გაუგზავნელი დეპეშა დარჩენილა.

გომელი. ოქტ. 6. ხარკოვის გაზეთ „იუჟნი კრაი“ ს ცნობით, შაქრის ქარხნის 20,000 მუშის 35 წარმომადგენელმა მიიღო რეზოლიუცია, რომელიც სამრეწველოების პატრონებთან ყოფელგვარ კერძო შეთანხმებაზე უარს აცხადებს და მოითხოვს საერთო გაფიცვების გამოცხადებას რომ მიახწიონ ხელფასის მომატებას და მუშების დათხოვნას აღარ ექნეს ადგილი. კიევში გამოქვეყნდა მთავარ სარდლობის ბრძანება, რომლითაც რკინის გზის, გემების, ტელეგრაფის, ტელეფონის, ელექტრონის სადგურების მოსამსახურეები და პურის მცხობლები გაფიცვისათვის სამხედრო სასამართლოს უნდა გადაეცნენ. კიევში თეთრგვარდიელებმა ჩამოიღეს

ხალხთა ლიგა *)

(ისტორიულ-ფილოსოფიური ექსკურსით)

მეცხრამეტე საუკუნეს ნაციონალიზმის საუკუნეს უწოდებენ. ევროპის კონტინენტზე მობინიდრე ერები ჯერაც არ გამორკვეულან იმ ნაციონალისტურ ქარიშხალისაგან, რომელიც ნაპოლეონის ომების შემდეგ განსაკუთრებულის სიმძაფრით მძვინვარებს. ყველასთვის ცხადი იყო, რომ ის სიძულვილის ენერგია, რომელიც საფრანგეთისა და გერმანიის ნაციონალისტებმა გაიღეს 1870—71 წლების საომარ კამპანიის საწარმოებლად, არ დაშრეტა 1871 წლის ვერსალის კონფერენციაზე. საფრანგეთის „რევანშ იდეის“ შვინისტები, ინგლისის „ჯინგოისტები“, გერმანიის „ალდოიტშები“, რუსეთის „პანსლავისტები“ დიდის უნარითა და მოხერხებით აჩაღებდნენ იმ ცეცხლს, რომელმაც 1914—18 წლებში მთელი კაცობრიობის ოფლითა და ტანჯვით მონაგარი კულტურა და ცივილიზაცია ლამის იმსხვერპლა. ხსენებულ ზოოლოგიურ პატრიოტიზმს იდეუოდ ასაზრდოვებდა გობინო-ჰეროკ-ჩემბერლეინის მიერ შექმნილი რასათა თეორიები. ნაციონალიზმის იდეოლოგებისათვის არ არსებობს ერთი მთლიანი, გაერთიანებული, ორგანიული ადამიანობა; გასაკუთრებით სტევარ კუსტონ ჩემბერლეინი უბრუნდება ფილოსოფიაში უკვე დაძლეულ ჰეგელისებურ თეორიებს ისტორიულ ერა არა ისტორიულ ერებისას, იგი ჰეგელზე შორს მიდის: (თავის „მეცხრამეტე საუკუნის საფუძველში“ ვეია, 1900 წ.) მისი აზრით ყველა ერების, მთელი კაცობრიობის ძოძაგარისა და ნაამაგევის სინტეზი ძხოლოდ გერმანთა რასის შემოქმედებითმა გენიამ მოახდინა. თავისი ფეხოვეანალური ეოუდიცია ჩემბერლენმა ძვე

*) ავტორი იდეალისტურ თვალსაზრისზე დგას, მაგრამ ვფიქრობთ ამ წერილს, რადგან აღძრული საკითხი მეტათ მნიშვნელოვანია. მართლწერა ავტორისაა. **რედ.**

ლი ნაციონალისტურ დოგმატიზმის გასამაგრებლად მოიხმარა. ჩემბერლენ დილეტანტი მწერალია, ნაციონალიზმი ტურნალისტიკით არ განსაზღვრა, მან ევროპის უნივერსიტეტების კათედრაზეც შესდგა ფეხი.

უკანასკნელი საერთაშორისო ომის დროს დანთხეული სისხლის ხნულზე ახალი ჯეჯილი ამოდის. ადამიანთა მოდგმის საუკეთესო შვილებს იპყრობს სიყვარული მთელი განაწამები კაცობრიობისა. ზოოლოგიურ ნაციონალიზმს მიღწეული აქვს თავის სრბოლის უღელტეხილთან. მკვდრეთით აღდგომას აპირობს აზრი ზენაციონალური კავშირისა, იდეა ინტერნაციონალური ნორმების შექმნისა და საერთაშორისო დამოკიდებულებისა.

ღვთივ კურთხეული შვილები ადამიანობისა, დიდი მწერლები სდგანან დღეს ამ მიძრაობის ავანგარდში: ანატოლ ფრანსი, რომან როლანი, ჰერმან ჰესსე, ბერნარდ შაუ.

ფილოსოფიაშიაც გამოეხმაურენ ამ ინტელექტუალურ ძოძრაობას.

პოლიტიკა პლატონის დღეებიდან ვიდრე კანტამდის ფილოსოფიურ მეცნიერებათა სისტემაში ითვლეოდა. უნდა ვიგულისხმოთ, რომ იგი მომავალშიაც პოლიტიკური ისტორიის რეგულიატორი იქნება. ჩვენ გაახრეხული გვაქვს ამ წერილს მცირე ისტორიულ ფილოსოფიური ექსკურსი წარვუძღვანოთ. სადარის პირველყოფილი კვანძი ხალხთა ლიგის იდეისა, რა გზა გამოიარა მან, რა როლი ითამაშა ფილოსოფიამ ამ აზრის ზრდისა და განვითარების პროცესში, დასასრულ, რა დონეზე დგას იგი დღეს?

ეს პრობლემა დღეს მარტო თეორეტიული არ არის, მას უკვე პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს მოპოვებული. რა თქმა უნდა ხალხთა ლიგა ჩვენ ისე არ გვესმის, როგორც მისი გეგმა ამერიკის პრეზიდენტმა ვუილსონმა წარმოადგინა მაგრამ ის დონე, რომელზედაც დღეს ხალხთა ლიგის პრობლემა დაყენა თანამედროვე პოლიტიკამ, ერც ისეთი საოწარკვეთილების ძომგვრელია, როგორც ბევრ მოაზროვნეს ჰგონია, ამითომაც ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ პრობლემის ყოველგვარი შესწავლა და განხილვა ინტერესს მოკლებული არ იქნება.

იდეიას ხალხთა ლიგისას სარჩულათ უდევს შეგნება ადამიანობის მოდგმის ერთ ორგანიულს ხეულად წარმოდგენისას. არა ძარტო ადამიანობა, მთელი სამყარო, საბერძნეთის ფილოსოფიას მსოფლიო სულის მანიფესტაციათ მიაჩნდა თალესისა და საბერძნეთის შვიდ ბრძენის ჰილოზოიზმი. სხვა რაღაა, თუ არა მთელი სამყაროს, კოსმოსის ერთ სულდგმულ ორგანიზმის სახით წარმოდგენა. ჰეროაკლიტესათვის დემონები ბუდობენ ორგანიულ და არა ორგანიულ ბუნებისმოვლენებში და საგნებში. მსოფლიო ცეცხლი ჰეროაკლიტესი იგივე მსოფლიო შეგნებაა. ასევე ფიქრობდნენ სოკრატის წინა მორბედნი; ამ ფილოსოფიურ საფუძველზე წარმოიშვა ბერძნული მოძღვრება—მსოფლიო ჰარმონიისა და ჰომერის ღმერთების კულტი. ამ იდეის ისტორიისათვის შევნიშნავთ, რომ მსოფლიო ჰარმონიის იდეია, უწინარეს ყოვლისა, ბრაჰმანის უპანიშადებში გვხდება.

რწმენა მსოფლიო სულისა, ორი ათასი წლის განმავლობაში, სოკრატიდან—კანტამდის, ასულდგმულებდა ფილოსოფიას; პლატონია მოძღვრებაში მსოფლიო მთლიანობას დემიურგს წარმოადგენს. დემიურგმა შეჰქმნა ერთობილი, ჰარმონიული სამყარო. დემიურგის ხილული ეძანაცია ცის მნათობებში გამოიხატა. მსოფლიო სულის იდეას არისტოტელთანაც ვხვდებით. იგი მოგვითხრობს საერთო ძცეხარეთა სულზე. *)

როგორც პლატონისა, ისე არისტოტელესისათვის ცალკე სახელმწიფო განსაკუთრებული ცოცხალი არსებაა, „ზოოტონ“, ერთგვარი ხუბსტანცი—ეს სუბსტანცი „თავის შინაგან არსებაში ატარებს თავის მამოძრავებელ პრინციპს. ამ სუბსტანციას თან დაყოლია **ევოლიუციისადმი მიდრეკილება“.** ამ სახით სახელმწიფო ბუნების მეტყველების ობიექტია, რომელზედაც ექსპერიმენტალური ანალიზის მოხდენაც კი შეიძლება.

*) იხ. არისტოტელეს: „სულისათვის“.

დიონი. ოქტ. 9. მაროკოდან მოსული ცნობით, მაროკოელების აჯანყებულები ადგილობრივ საფრანგეთის ჯარმა დაამარცხა.

ფრანგული კრესის ცნობები

უმაღლესი საბჭო დამაკმაყოფილებლად არა ხთვლის გერმანიის განმარტებებს ბალტიის პროვინციების დაცლის შესახებ, რადგან ეს განმარტებები მიღებულ ცნობებს არ შეეფერება. ფოშს დაევალა პასუხის შედგენა.

იტალიის მეფემ განსაკუთრებული დეკრეტით დაადასტურა ვერსალის და სენ ჟერმენის ხელშეკრულებანი.

სოფიაში მინისტრის კრიზისის გამო ბოლგარეთმა ითხოვა კიდევ განუგრძელონ ვადა მოკავშირეთა მიერ წარმოდგენილ პასუხის გასაცემად.

ვენიდან იუწყებიან, რომ გამოცემულ ბრძანების თანახმად, უცხოელები ქალაქს სტოვებენ. აღმოსავლეთის გალიციიდან უკვე გავიდა 8 ათასი კაცი. მიღებულია ზომები მათ გადასაყვანათ მატარებლებს რიცხვის გასადიდებლად.

მიღებულ ცნობების თანახმად, დასავლეთ უნგრეთიდან წასვლისას ოუმინელებს 1400 ვაგონი მანქანები გაუზიდიათ.

ვენის უნივერსიტეტის საექიმო ფაკულტეტის დეკანმა დ—მა სოლომონმა განცხადა, რომ საექიმო ფაკულტეტის სტუდენტმა უნდა შეისწავლოს მზარეულის ხელობა, რათა თვით შეეძლოთ საჭირო განმარტებების მიცემა დიეტის დანიშვნის დროს.

გენ. მანჟენის გადადგომამ დიდი ლაპარაკი გამოიწვია როგორც პარიზის პრესაში, ისე საფრანგეთში დარჩენილ ამერიკელ აფიცერთა შორის. ამბობენ, რომ მანჟენის გადადგომის მიზეზი იყო სამხედრო მინისტრი მილიერანი: სცდილობენ დაამტკიცონ, რომ ვეტერანი ფრანგი შესცვალეს იმის გამო, რომ ამერიკის საზავო კომისია და მთავარსარდლობა წინააღმდეგი იყო მანჟენის, რომელიც რეინის დამოუკიდებელ რესპუბლიკის შედგენას თანაუგრძნობდა.

ბრძანული კრესის ცნობები

კომუნისტები გავიდნენ მუშათა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტიდან, რომელშიაც ეხლა მხოლოდ დამოუკიდებლები არიან.

დამოუკიდებლების ორგანო „ფრეიჰაიტ“-ი ამბობს, რომ კომუნისტებს თან და თან ნიადაგი ეცლებათ.

შვეიცარიის ბანკირების კავშირმა ლოზანნაში გამოარკვია, რომ ომის გამო შვეიცარიას 6 მილიარდი ფრანკი უზარალნია.

მორის ბარი გაზ. »ეხო დე პარი“-ში რეინის მხარეში საფრანგეთის სურვილების შესახებ ამბობს, რომ რეინის პროვინციებს ყოველ დღე შეუძლიანთ დარწმუნდნენ, თუ როგორ გულისხმობს საფრანგეთი თავისუფლებას. მცხოვრებლებზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა რეინის მხარის შკოლებში ფრანგული ენის შემოღებამ.

პრუსიის ეროვნულ ყრილობაში გზათა მიმოსვლის მინისტრმა განაცხადა, რომ ქვანახშირის სიმცირის გამო სამგზავრო მატარებლების მიმოსვლა სრულიად შეწყდება. საჭიროა ზომები იქნეს მიღებული სურსათის და ქვანახშირის მოზიდვის გასაადვილებლათ.

„დოიტშე-ალგემაინე-ციტუნგი“ იუწყება, რომ ჰამბურგელი ყავით ბითუმად მოვაჭრეები აპირებენ დიდი ძალა ყავა შეისყიდონ კუნძულ იავაზე, რადგან პირობები იქ უფრო ხელსაყრელია ვიდრე აფრიკაში.

მაინის ფრანკფურტში ოთხშაბათს, სადილი გაუმართეს სკანდინავიიდან ჩამოსულ სტუმრებს, რომლებმაც სურვილი გამოთქვეს, რომ გერმანია სკანდინავიის ურთიერთობა უფრო განტკიცდეს.

ქვანახშირის სიმცირის გამო გრაცის ქ. ტამ

დადგა ემალიან საგნების დიდი ქარხანა.

ბერლინში ყოველ დღე მოდიან ლტოლვილთა ოჯახები იმ ოლქებიდან, რომელიც სხვა სახელმწიფოებს უნდა გადაეცეს, რადგან ისინი დიდ წვალებას განიცდიდნენ ბინების უქონლობის გამო.

საარბრიუკენში სამხედრო ადმინისტრაციამ მთელ ოლქში გამეფებულ უწესოების გამო სამხედრო წესები გამოაცხადა. რკინის გზის მოსამსახურენი გაიფიცნენ; მათ შეუერთდნენ რკინის ჩამომსხმელი მუშები. ამას წინად უკვე იყო ცნობა, მთელი საარის ოლქში მცხოვრებნი აღელვებულნი არიან ეროვნულ პოლიტიკურ უფლებების წართმევის გამო. მცხოვრებლები მოითხოვენ, რომ ადმინისტრაცია ხალხთა ლიგამ დანიშნოს, რათა ისინი გადაარჩინონ საფრანგეთის სამხედრო ადმინისტრაციის მხრით შევიწროვებას.

ხმა სამუსლიმანო საქართველოდან.

მე ქართველი მუსლიმანი, სამუსლიმანო საქართველოს შვილი, იძულებული შევიქენ ამ მცირე წერილით, პრესის საშვალებით, მეუწყა ვისთანაც ჯერ არს ის სამწუხარო და საგალალო მოვლენები, რომელსაც ადგილი აქვს ჩვენს კუთხეში, ბათუმში და მის ოლქში. დღეს ბათუმის ოლქი ჯარეგნულათ არის მოკავშირეთა ოკუპაციაში, სადაც წარმოგზავნილია დიდი ბრიტანეთის შვილი, ბატონი კუკოლისი, ფაქტიურათ კი ეს კუთხე არის დენიკინელების ოკუპაციაში და ეს ვაებატონები კი მოკავშირეთა ქურქში აკეთებენ დენიკინის საქმეებს და როგორ აკეთებენ, არ იკითხავთ: მათრახით, ცემით, ტყვეთ, ცარცვა-გლეჯით და სხვა ბევრი ასეთებით. ჩვენ ძლიერ გვაკვირვებს ერთი გარემოება: ნუ თუ ამას ყოველივეს ვერ ხედავს დიდი ბრიტანეთის შვილი ბატონი კუკოლისი?! ნუ თუ ეს არ სმენია მოკავშირეთა უმაღლეს წარმომადგენელს ბატონს ჰასკელს და დიდ ბრიტანეთის წარმომადგენელს ქართველოს შვილთაგან ლრმათ პატივცემულს ბატონს ჯორდროპს?!..

დენიკინის აგენტები და „სტრაჟნიკები“ ქართველ მუსლიმანების თვალში დიდი ბრიტანეთის სახელს ამცირებენ, რადგან ისინი მოქმედებენ ინგლისის სახელით. დენიკინელების და მათი „სტრაჟნიკების“ ქცევამ ჩვენი ხალხი უკიდურეს მდგომარეობამდე მიიყვანა და თუ ჩვენ, ქართველი მუსლიმანები, გაჩერებული ვართ და ვითმენთ—ყოველივე ეს აიხსნება კერძოთ დიდი ბრიტანეთის და საერთოდ მოკავშირეებისადმი ჩვენი სიმპატიით და დიდის პატივისცემით, თორემ დენიკინელ აგენტების და „სტრაჟნიკების“ ჩვენს ოჯახში, ჩვენს სახლში მათრახების ტყაპატყუპს ჩვენი რაინდი ხალხი ვერ აიტანდა და მეტსაც ვიტყვი: დენიკინის „სტრაჟნიკები“ ვერ გაგვიბედავდა ამას... დაბოლოს, ჩვენ კიდევ არ დაგვკარგვია იმედი და რწმენა, რომ ამ გარემოებას მიექცევა ყურადღება ვისგანაც ჯერ არს და ბათუმიდან და მის ოლქიდან განდევნილ იქნება დენიკინელების თავაშვებული, უპასუხისმგებლო ადმინისტრაცია და მათრახები და მათი ფუნქციები გადაეცემა ხალხის, დიდი უმრავლესობის ნდობით აღჭურვილ მეჯლისს. წინააღმდეგ შემთხვევაში მოთმინების ფიალა ავსებულია და აღარაა იმედი, რომ ხალხმა მოთმინების საზღვრები არ გადალახოს და დეე მაშინ აგოს ინტერიის წინაშე პასუხი მან, ვინც ჩვენი ხალხის უბედურებას ხელი შეუწყო.

ბათუმის ოლქის მცხოვრები—ქართველი მუსლიმანი **ჰაიდარ აბაშიძე.**

ჟურნალ-გაზეთებიდან

მეგობრები

ამ სათაურით 10 ოქტომბრის „სამუსულმანო საქართველოში“ შემდეგი მეთაურია დაბეჭდილი:

„სედაი მილეთის“ ამხანაგობა, როგორც უკვე გამოირკვა დენიკინელებთან ამხანაგობაში ყოფილა. კარგა ხანია მას შემდეგ, რაც „სედაი მილეთის“ კალმოსნები ახმაურდნენ, ვითომდა როგორც მუსულმანების დიდი დამცველი. როგორც „ნაშ კრაის“ უკანასკნელი ნომრიდან გამოჩაკარავდა, ისინი ნამდვილი დენიკინის აგენტები ყოფილან. ეს კიდევ უფრო გამოირკვა 4 ოქტომბრის „სედაი მილეთის“ მოწინავე წერილიდან. ამ წერილში სწერდენ: ჩვენში არსებობს ორი ჯგუფი, რომლებიც ფულში ცვლიან თავის სამშობლოს. ერთი იმათგანია „სამუსლიმანო საქართველოს“ სახელით მოლაპარაკე ქართული საზოგადოება და სხ. მეორე ჯგუფზე კი გაზეთი არაფერს ამბობს. ჩვენის აზრით კი აქ არის ორი მიმართულება: გაზეთ „სამუსლიმანო საქართველოსთან“ ერთად მთელი შეგნებული ქართველი მუსლიმანობაა, რომლებიც მუშაობენ ჩვენი ხალხის და ქვეყნის საბედნიეროთ და მეორე კი „სედაი მილეთელთა“ ჯგუფი დენიკინელ შავრაზმელებთან ერთად, რომლებიც ყოველგვარ საშუალებას ხმარობენ, რომ ჩვენში მეტის გენერალი დენიკინი შემოიყვანონ. „სედაი მილეთის“ მწერლები მაესში და ივნისში სწერდენ დენიკინ ბოლშევიკებს ბრძოლა არ სურთ. ჩვენ ... ესწრაფვიან. ... ეხლა თვით მკითხველმა შედაროს დენიკინის გაზეთ „ნაშ კრაის“ წერილები ზემო თქმულთან. დღეს ყველა ჩვენგანმა იცის, თუ როგორ დღე და ღამ იბრძვიან რუსი შავრაზმელები ჩვენი მიწა-წყლის დასაპყრობათ, ჩვენზე გასაბატონებლათ. უკვე აშკარად გამოირკვა, რომ ისინი ჩვენი ხალხის დამონებას ლამობენ. ჩვენში მათრახებითა და ხიშტებით გაბატონებას ესწრაფვიან. ეს ყველა ჩვენგანმა იცის. და „სედაი მილეთის“ დენიკინელი მწერლები ჩვენ ხალხს თვალებს ვერ აუხვევენ. ფაქტები თავისას ლაღადებენ. ხალხის დატყვეულებას ეს მოყვლელი ვაებატონები ვერ შესძლებენ. ჩვენმა ხალხმა უკვე აირჩია გზა თავისი კეთილდღეობისათვის და ამ გზიდან მას ვერავინ გადაახვევინებს“.

ახალი ამბები

ბრიტანეთის უმაღლესი კომისრის ჩამოსვლა. 10 ოქტომბერს, დილის 10 საათზე სტამბოლიდან ბათუმით თფილისში ჩამოვიდა მოკავშირეთა ჯარის ხმელთა შუა ზღვის ფლოტის სარდალი უმაღლესი ბრიტანეთის კომისარი ოსმალეთში სერ დე-რობეკი, რომელსაც სადგურზე შეეგება ბრიტანეთის კომისარი ამიერ-კავკასიაში ოლ. უორდროპი, საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგი ნ. ქარციკიძე, სამხედრო მინისტრის თანაშემწე გენ. გედევანიშვილი, საგარეო საქმეთა სამინისტროს კანცელარიის დირექტორი მ. ლორთქიფანიძე. სადგურზე გაგზავნილ იქნა საპატიო ყარაული. იმავე დღეს 2 საათზე სერ დე-რობეკი და ოლ. უორდროპი, თავის ამალის თანხლებით, გაემგზავრნენ მცხეთაში ძველი დროის ნაშთების დასათვალიერებლად, საღამოს კი სერ დე რობეკი დაბრუნდა ბათუმში.

◆ ხომხეთის მთავრობის რეკონსტრუქციისათვის. პარიზში მყოფ სომხეთის საზავო დელეგაციის თავმჯდომარე ნური-ფაშამ დელეგატები გამოგზავნა სომხეთის მთავრობასთან. მოსალაპარაკებლათ სომხეთის ეხლანდელ მთავრობის რეკონსტრუქციისათვის.

◆ მოხალისეთა ჯარის ხამხედრო წარმომადგენელი ხომხეთში. ყოფილი უფროსი სომხურ დივიზიის შტაბისა—პოლკ. ზინკევიჩი დაინიშნა მოხალისეთა ჯარის სამხედრო წარმომადგენლათ სომხეთში.

◆ გუნიას შუამდგომლობა. ვ. გუნიას მეთაურობით შესდგა თფილისში მყოფ მსახიობთა დასი, რომელსაც განზრახული აქვს აწარმოვოს თფილისში ქართული დრამის სეზონი. ამის გამო ვ. გუნიამ შუამდგომლობა აღძრა დამფუძნებელ კრების ხელოვნების კომისიაზე მეცნიერულ მეთოდსა და გზას. კანტმა შეამჩნია ერთგვარი ექსტრემალური განწყობილება არსებითად კანონებით შებოჭვილ ბუნებასა და ადამიანის მიერ ავტონომიურად წარმოსადგენ თავისუფლებას შორის. მანვე აღიარა, რომ ის ორგანიული კანონები, რომელსაც ადამიანობა ექვემდებარება, ადამიანის ნებისყოფის თავისუფლებას ავიწროებენ და ზღუდავენ.

კანტმა ხიდი გასდო კოლექტიურ შეგნებულებასა და ინდივიდუალურ—თავისუფლებას შორის.

ინდივიდუალური თავისუფლება შეიზღუდება ისევ და ისევ კოლექტიური შეგნებულებით, ადამიანობის, როგორც მთლიანი ორგანიზმის არსებობა ხულ ერთი საუკუნეა რაც ბუნების მეტყველებამ შეიცნო.

თანამედროვე ადამიანური საზოგადოება, მთელი ადამიანობის მოდგმა კატასტროფალურ ხასიათის კონტრასტებითაა დაპობილი: საზოგადოება და პიროვნება, ინდივიდუალიზმი და სოციალიზმი, ერი და კაცობრიობა; ადამიანობის მოდგმის ორგანიზმი როდია პიროვნებისა და მისი არსებობის მიზანი ინდივიდუმები ჰქმნიან საკუთარ მიზნების მისაღწევად ხსენებულ ორგანიზმს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ის გზა, რომელზედაც ეძანუილ კანტმა დაგვაყენა, შეაძლებინებს ადამიანობას ზემოხსენებულ ექსტრემების დაძლევას, მხოლოდ ამ გზით თუ შეიძლება იმ კრიზისის თავის დახწევა, რომელშიაც თანამედროვე სული და კულტურა იმყოფებიან.

ინდივიდუმებისა და ადამიანობის ორგანიზმს შორის ასეთი დამოკიდებულებაა:

ინდივიდუმები შტოებია იმ მცხოვან, მაგრამ მარად ყვავილოვან მუხისა, რომელსაც ადამიანობის მოდგმა ეწოდება

კონსტანტინე გამსახურდია.

(შემდეგი იქნება.)

*) ლუთერის თარგმანითაა ნასარგებლები. პავლე. რომაელნი. XII. 4,5.

ის წინაშე, რათა ხსენებულ დასს დაეთმოს რომელიმე თეატრში განსაზღვრული დღეები წარმოდგენების გასამართავათ. კომისიამ ეს საქმე გასარჩევათ რ. არსენიძეს დაავალა.

→ სახალხო უნივერსიტეტი. ორშაბათს, 13 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე, სახალხო უნივერსიტეტის ქართულ განყოფილებებში დანიშნულია შემდეგი მორიგი ლექციები: 2 განყოფილება (ვერა) 1) ე. აღშიბაია „ჩვენი ქვეყნის სიმდიდრე“; 2) გ. ნათაძე „საბერძნეთის ისტორიიდან“. 3 განყ. (ჩუღურეთი) 1) ვ. წერეთელი „ახალი ისტორიიდან“; 2) ექ. ტურიაშვილი „გიგინიდან“. 4 განყ. (ორთაჭალა) 1) ვ. კოტეტიშვილი „სოციოლოგია“; 2) ალ. ქორეოლიანი „დასავლეთ ევროპის მე 19 საუკ. ისტორიიდან“. 7 განყ. (საბურთალო) 1) გ. ნათაძე „საბერძნეთის ისტორიიდან“; 2) ეკ. აღშიბაია „ჩვენი ქვეყნის სიმდიდრე“. 8 განყ. (ავლაბარი) 1) ი. ირემაშვილი „ეკონომიური საკითხები“; 2) ა. წერეთელი „ახალ ისტორიიდან“. მიმდინარე სემესტრის ყველა მსმენელნი უნდა დაესწრონ.

→ საქართველოს სამხედრო წარმომადგენელი სომხეთში გენ ყარალაშვილი, დღეს მიემგზავრება ერევანში.

→ დამსახურებულ მსახიობთა დასახმარებლად დამფ., კრების ხელოვნების კომისიამ დაავალა კომისიის წევრს რ. არსენიძეს, რათა მან განათლების სამინისტროსთან მოლაპარაკება გამართოს განათლების სამინისტროსთან დამსახურებულ მსახიობთა დასახმარებლად საათანადო წყაროს აღმოჩენის შესახებ. განათლების სამინისტრომ წარუდგინა კომისიას თავისი პროექტი მსახიობთა დასახმარებლად და სხვადასხვა კულტურულ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად საჭირო თანხის თეატრის ბილეთების დაბეგვრის გზით აღების შესახებ.

→ მუშათა კლუბების კონფერენციის გაგრძელება დანიშნულია დღეს, დილის 10 საათზე ცენტრალურ სახალხო უნივერსიტეტის შენობაში.

→ საქართველოს დემოკ. რესპუბ. მასწავლებელთა საყურადღებოთ. სრულიად საქართველოს მასწავლებელთა ორგანიზაციების წარმომადგენელთა საერთო ყრილობა კავშირის დასაარსებლად და ცენტრის ასარჩევად დანიშნულია 1920 წ. 5 იანვარს ახალი სტილით (საშობაო დღესასწაულებზე). პროგრამა გამოცხადებული იქნება. აღმოსავლეთ საქართველოს მასწავლებელთა კავშირის მთავარი გამგეობა მოუწოდებს კავშირებს და ფილიალებს მოახდინონ კრებები და აირჩიონ დელეგატები 25 კაცზე ერთი.

→ ახალციხის მაზრაში დაწყებული ყაჩაღობა-ძარცვის გამო გვარდიის და ადმინისტრაციის მიერ მიღებული სასტიკ ზომებით დაჭერილია 12 ყაჩაღი, მათ შორის 7 აფიცერია. მაზრაში სრული სიმშვიდეა აღდგენილი.

→ დაშნაკცელების ქართული გაზეთი. ამ დღეებში გამოვა ქართულ ენაზე საქართველოს დაშნაკცაკანთა ცენტრალურ კომიტეტის ორგანო „მშრომელი“.

→ გუშინ თფილისში ჩამოვიდა სომხეთის პარლამენტის წევრი ა. აბელიანი.

→ დრამატიულ ხელოვანთა კრება. დამფ. კრების ხელოვნების კომისიამ დაადგინა კვირას 19 ოქტომბერს მოიწვიოს დრამატიულ ხელოვნების განსაკუთრებული კრება, თანამედროვე მდგომარეობის გამოსარკვევათ. კრება შესდგება ქართულ კლუბის დარბაზში დღის 11 საათზე.

→ მისახალმებელი დეპეშა. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ ქუთაისიდან მიიღო შემდეგი შინაარსის დეპეშა. ქუთაისის „შევარდენის“ საზოგადოების დამფუძნებელი კრება სალამს გიძღვნის თქვენ უზენაეს წარმომადგენელს საქართველოს რესპუბლიკისა, რომლისთისაც ახლათ დაარსებული „შევარდენის საზოგადოება“ მიზნათ ისახავს აღზარდოს ჯანით საღი და სულით ძლიერი თაობა“.

→ ავლაბრის მუშათა კლუბის გამგეობა მიმართავს ავლაბრის რაიონის ქართველ და სომეხ სცენის მოღვაწეთა ყველსა და ახალს წრეებს, რათა ისინი დღეს, 12 ოქტომბერს, დილის ათ საათის გამოცხადდენ ავლაბრის მუშათა კლუბში, სადაც გამგეობა კლუბისა შეიმუშავებს მომავალ სათეატრო სეზონის საერთო გეგმას.

→ სახალხო უნივერსიტეტის საზამთრო სეზონის საზეიმო გახსნა. მოხდება დღეს, საღამოს 8 საათზე. პროგრამა მეტად შინაარსიანად არის შედგენილი.

→ მცხეთის დღესასწაულის დღეს ქალაქთა კავშირი მართავს ავტომობილებით მიმოსვლას თფილისსა და მცხეთის სადგურისა და ტაძრის შუა. ავტომობილები თფილისიდან (თავისუფლების მოედნიდან) გავლენ დილის 8, 8 ნახ., 9, 9 ნახ. და 11 საათზე, ხოლო მცხეთიდან გამობრუნდებიან: ნაშუადღევის 3, 4, 4 ნახ., 5 საათზე და საღამოს 6 საათზე. სადგურსა და ტაძარს შუა მიმოსვლა იწარმოებს განუწყვეტლად. ბილეთების წინასწარ შეძენა შეიძლება ორშაბათს 9—3 საათამდე, ქალაქთა კავშირის ტეხნიკურ განყოფილებაში (ბუშკინის ქ., № 3).

→ ტან-ვარჯიშობის საზ „შევარდენი“ დაბრუნდა ქუთაისიდან და 13 ოქტომბრიდან განაახლებს მუშაობას. ის პირველ გიმნაზიის დარბაზში ხსნის თავის განყოფილებას, სადაც ვარჯიშობა იწარმოებს ყოველ დღე.

→ ფრონტის დღის მომწყობ მთავარ კომიტეტში. კომიტეტის მიერ გაგზავნილი საჩუქრები ფრონტზე დანიშნულებისამებრ დაურიგებიათ და მხურვალე მადლობას უძღვნიან ჩვენი მეომარნი კომიტეტს. კომ ტეტმა ჯარში კულტურულ-განმანათლებელ მუშაობის საწარმოოთ გადასდო 50 ათასი მანეთი, რომელიც მიეცა უკვე ამ საქმის ხელმძღვანელთ. კომიტეტმა თავის ხარჯით დარიალში მყოფ ჯარისკაცთ გადაუგზავნა წიგნები და სხვა ლიტერატურა. მანვე გადასდო 20 ათასი მანეთი დაჭრილთა და დასახიჩრებულთა სახელოსნოს დასაარსებლათ. თფილისის ქუჩებში კომიტეტის თაოსნობით გამოკრულია ყუთები, სადაც იკრიბება გაზეთები, რომელიც იგზავნება ფრონტზე.

→ შინაგან საქმეთა მინისტრმა შემდეგ დეპეშა მიიღო: „ერთობის“ მე 229 ნომერში მოთავსებულია წერილი ახალმოდის შანტაჟისტობაზე. მოგახსენებთ, რომ მაზრის ადმინისტრაცია არ სდუმს და უმოქმედობას არ იჩენს. დამატებით ჩემი მოხსენებისა 7 ოქტომბრიდან № 3196 გაცნობებთ, რომ ყველა ის პირები, რომლებიც ოსიაურში, ბრილში და სხვაგან დახმარებას უწევდნენ ყაჩაღებს, შეპყრობილია, შევიპყრეთ აგრეთვე ყაჩაღი მარღიშვილი, რომელიც მილიციონერებს გაექცა და მოკლულ იქნა. გომის მილიციონერებს, რომლებმაც წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს პოსტზე თავდასხმის დროს, იარაღი ავვარეთ. მილიციის ცხენოსანი რაზმი ამ ჟამათაც იმ რაიონებშია და სასტიკ ზომებს იღებს ყაჩაღების ასალაგმავათ. მაზრის კომისარი ქარცივაძე.

→ არქეოლოგიური ნაშთი. გიორგი ამილახვარმა მთავრობას წინადადება მისცა, რათა მან შეიძინოს ამილახვარი საგან მე 15 ე საუკუნეში გაკეთებული წმ. გიორგის ჯვარი, რომელშიაც ის მილიონ მან. თხოულობს. მთავრობამ ეს წინადადება დასკვნისათვის ხელოვნების კომისიას გადასცა.

ᲥᲐᲠᲘᲡᲮᲚᲘ

ორშაბათს, 13 ოქტომბერს საღამოს 6 საათზე დანიშნულია კრება ქალაქის საბჭოს ს.-დ. ფრაქციისა.

— დღეს, 12 ოქტომბერს, დილის 11 საათზე ვაჟთა მეორე გიმნაზიის შენობაში დანიშნულია ხსენებულ გიმნაზიის მოწაფეების მშობელთა მეორე და უკანასკნელი კრება, ეს კრება ჩაითვლება კანონიერათ, რამდენიც არ უნდა გამოცხადდეს მშობელი ამიტომ სასურველია, რომ ამ კრებას რაც შეიძლება მეტი რიცხვი მშობლებისა დაესწროს. კრების საგანია: დელეგატებისა და პედაგოგიურ საბჭოში კლასების წარმომადგენლების არჩევნები.

— დღეს, საღ. 4 საათზე სახელმწიფო უნივერსიტეტის ს.-დ. სტუდენტთა კრება.

— დღეს, საღამოს 5 ს. შესდგება საქართველოს ახალ. მარქ. ცენტრ. კომიტეტის და საკანტროლო კომისიის კრება.

— დღეს, დილის 10 საათზე, სახელოსნო სასწავლებლის შენობაში (ექზარხოსის მოედანი) დანიშნულია მე-4-ე სამილიციო უბანში მცხოვრებ ს. ს. დ. მ. პ. წევრების საზოგადო კრება.

— დღეს, დილის 10 საათზე, ოლქის სასამართლოს შენობაში დანიშნულია თფილისის სახელმწიფო დაწესებულებების მოსამსახურეთა დელეგატების საზოგადო კრება. თუ პირველი კრება არ შესდგა, მეორე დანიშნულია ერთი საათის შემდეგ და ჩაითვლება კანონიერათ რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

— კვირას, 12 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე, საბურთალოს მუშათა კლუბის დარბაზში, დანიშნულია პარტიის წევრთა და თანამგრძნობთა საზოგადო კრება. მიმდინარე მომენტზე მოხსენებას გააკეთებს ამხ. გიორგაძე.

— დღეს, დილის 10 საათზე, ორთაჭალის მუშათა კლუბის საზაფხულო შენობაში დანიშნულია მე 5 სამილ. უბანში მცხოვრებ ს. ს. დ. მ. პ. წევრთა საზოგადო კრება.

— დღეს, საღამოს 4 საათზე ნაძალადევის სახალხო სახლში შესდგება პირველი რაიონის ახალგაზრდა მარქსისტთა საერთო კრება.

ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲐ.

მუხიანი. დღეს დილით ს. მუხიანში დანიშნულია სოფლის ყრილობა. მოხსენებას გააკეთებს დამფ. კრების წევრი პ. წულაია.

ასურეთში. (თფ. მაზრა). კოდის საზ. სოც. დემ. ორგანიზაციის თავჯდომარემ დაკარგა შტემპელი, ბეჭედი და ჩეკები. ორგ. თავმჯდომარე დ. ნაჩხატაშვილი ამას აცხადებს, რომ მით ბოროტადარა ვინ ისარგებლოს

სოხუმში იწყევენ სიტყვიერების, მათემატიკის და ახალი ენების მასწავლებელთ. მომართეთ უმაღლეს და საშუალო სკოლების მთავარ გამგეს.

ᲐᲓᲔᲠᲒᲔᲘᲥᲜᲐᲨᲘ

სომეხთა ახალი გამოხვლები

ყარაბალის დროებითი გენ.-გუბერნატორი აცნობებს შინაგან საქმეთა მინისტრს შემდეგს: „ზანგეზურის მაზრის უფროსის ცნობით, 23 სექტემბერს, ზანგეზურის სომხებმა, საკმაოდ ძლიერებმა რიცხვით, ერთ და იმავე დროს, მძლავრად შეუტიეს მათ მოსაზღვრე მუსულმანთა ორ სოფელს: ფირიჯანსა და სობს. ამ სოფელზე თავდასხმის დროს, სროლის შემდეგ, სადაც მოკლეს ერთი და დასჭრეს ორი მუსულმანი, სომხებმა დასტაცეს სოფლებს 350 მცხვარი და 132 სული წვრილი საქონელი, 25 ცხენი და 12 „კატერი“ („აზერბ.“).

წავთის ამოღება.

ნავთის ამოღება ყრილობის საბჭოს სტატისტიკური ბიუროს ცნობით, აგვისტოში გადიდებულა 19—20 მილიონით.

თეატრების ნაციონალიზაცია.

განათლების მინისტრმა დაავალა სახელმწიფო თეატრების დირექტორს შერიფ-ზადეს შეადგინოს პროექტი თეატრების და სამხატვრო სალიტერატურო დაწესებულებების ნაციონალიზაციის შესახებ, რომ მათი გამგებლობაც სახელმწიფოს ხელში გადავიდეს. აღნიშნული პროექტი უკვე მზათაა და გადაეცა მინისტრს დასამტკიცებლად, რომელმაც დეტალური განხილვის შემდეგ, დაამტკიცა ეს პროექტი და გადადებულ იქნა სათანადო თანხა მის ცხოვრებაში გასატარებლად.

ᲡᲐᲢᲐᲠᲘᲤᲝ ᲞᲐᲚᲐᲢᲐ

9 ოქტომბრის სხდომა.

მორიგი სხდომა სატარიფო პალატისა მოუნდა მუშათა კლასის მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ საჭირო ზომების მიღების საკითხის გარჩევას და მასთან დაკავშირებულ სტატისტიკურ განყოფილების მოხსენების შესახებ ცხოვრების გაძვირებისას. ცხოვრების გაძვირებაზე მოხსენებას აკეთებს სტატისტიკურ განყოფილების თავმჯდომარე მ. ნ. მანდელშტამი. 28 ივნისიდან, ამორჩეულ საგნებზე, რომელიც დაამტკიცა სატარიფო პალატამ, ფასებმა მოიმატა 15,5 პროც. ეს მომატება ფასებისა ხდებოდა თანდათანობით. შემდეგ ჯამაგირების მომატებას მოჰყვა საქონელზე ფასების გადიდება 8,7 პროც.-ით. ამის შემდეგ მოხდა დროებითი შეჩერება საქონელზე ფასების ზრდისა. ეხლა კი ჩვენ ვხედავთ, რომ მოხდა თვალსაჩინო აწევა ფასებისა ეს ფასების ზრდა საქონელზე ალბათ აიხსნება მწარმოებელთა მისწრაფებით სანიტარული გადასახადი აინაღაურონ მის საქონელზე გადატანით და ამნაირათ მისი მომხმარებლებისაგან აღებით. სტატისტიკური განყოფილება ამჩნევს, რომ ამ სანიტარულ გადასახადის ასეთი გზით ანაზღაურება გამოიხატა აგრეთვე საქონლის ხარისხის გაუარესებაში. იმის გამოსარკვევათ, თუ რამდენათ სწორეთ არის გამოანგარიშებული საქონლის გაძვირების კოეფიციენტი, სტატისტიკურმა განყოფილებამ შეადარა ერთმანეთს 1914 წლის მუშათა ბიუჯეტი, რომელიც უდრიდა დაახლოვებით 2 მ. 40 კ. ოთხ სულისაგან შემდგარ ოჯახზე, მუშათა ეხლანდელ ბიუჯეტს. აქედან გამოირკვა, რომ მუშა, რომ შესძლოს მან ცხოვრება ისე, როგორადაც ის ცხოვრობდა 1914 წელს, უნდა ღებულობდეს ივნისში საქონელზე არსებულ ფასების მიხედვით 118 მ. 14 კაპ. და სექტემბრის ფასების მიხედვით კი—181 მან. დღეში. ამ გამოკვლევამ დაგვანახა ჩვენ, რომ ცხოვრება გაძვირებულა ამ სამი თვის განმავლობაში 11 პროცენტით. პარალელურათ ამისა სტატისტიკურმა განყოფილებამ მოახდინა მუშათა კლასის მდგომარეობის გამოკვლევა და დაინახა, რომ მუშათა კლასის მდგომარეობა 1914 წლიდან 3 ნახ. გაუარესებულა მიუხედავათ ხელფასის უზომო ზრდისა, რეალურ და ნომინალურ ხელფასს შორის ურთიერთ განწყობილება ისეთია რომ, 1914 წ. მუშას, რომელიც ღებულობდა დღეში 2 მან. და 39 კაპ. შეეძლო ამ ფულით ეყიდა 59,85 გირვანქა პური, ხოლო 1997 წლის სექტემბერში მუშას, რომელიც ღებულობს დღეში—52,16 მან. შეუძლია იყიდოს მხოლოდ 4,8 გირვანქა პური. ამ გარემოების მივყევართ ჩვენ იმ დასკვნამდე, რომ ხელფასის გადიდება კიდევ უფრო აუარესებს მუშათა კლასის მდგომარეობას, ვინაიდან ის იწვევს პირველ საჭიროების საგანთა ფასის ძლიერ მომატებას.

სატარიფო პალატ, მოისმინა რა მოხსენება სტატისტიკურ განყოფილების თავმჯდომარისა, შეუდგა ცხოვრების გაძვირების მიზეზის გაშუქებას.

ხანგრძლივ კამათს იწვევს საკითხი ცხოვრების ასე უცბათ გაძვირებაზე სანიტარულ გადასახადის გავლენის შესახებ.

მწარმოებელთა წარმომადგენელი **მუხარინსკი** უარყოფს გადასახადის მნიშვნელობას ცხოვრების გაძვირების საქმეში, მისი აზრით, ცხოვრების გაძვირების მიზეზები უფრო ღრმაა, ის გამოწვეულია არა მარტო ადგილობრივ პირობებით და არის არა შემთხვევითი და დროებითი ხასიათის და ამიტომ მუშათა ხელფასის გადიდება ვერ გადასწყვეტს მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხს.

მ. ნ. მანდელშტამი ახსენებს წინა ორატორს, რომ თვით მწარმოებლები ამბობენ, რომ სანიტარული გადასახადი იწვევს ცხოვრების გაძვირებას, მაგრამ ძირითადი, უმთავრესი მიზეზი ცხოვრების გაძვირებისა მდგომარეობს საქონლის ნაკლებობაში, წარმოების უქონლობაში, რაც თავისუფალ გზას უხსნის სპეკულიაციას და თითონ კი გამოწვეულია საწარმოვო იარაღთა გაუფუჭებლობით და აგრეთვე მდგომარეობის გაუარესებით გამოწვეულ მუშათა შრომის ნაყოფიერობის დაცემით.

ბრაილოვსკი ფიქრობს რომ ცხოვრების გაძვირების გამომწვევ უმთავრეს ფაქტორათ უნდა ჩაითვალოს სოფელსა და ქალაქს შორის ურთიერთ დამოკიდებულების შეცვლა. სოფელს არ უნდა გაყიდოს თავის ნაწარმოები და ქალაქს კი არაფერი არა აქვს, რომ აწარმოოს საქონლის გაცვლა გამოცვლა.

ბერეჟიანი აღნიშნავს, რომ უმიზნოა ასეთი ხანგრძლივი მსჯელობა ცხოვრების გაძვირების მიზეზის გარკვევის გარშემო. ცხოვრების გაძვირება ფაქტია და ეხლა საჭიროა და სატარიფო პალატის მოვალეობას და მიზანს შეადგენს ცხოვრების გაძვირებით გამოწვეულ მუშათა კლასის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად შესაფერ საშუალებათა გამონახვა. ვინაიდან ხელფასის მომატება აუარესებს მუშათა კლასის მდგომარეობას დღევანდელ პირობებში, საჭიროა მივმართოთ მთავრობას წინადადებით, რათა მან სახელმწიფო და კერძო დაწესებულებებს მისცეს საჭირო თანხა მუშათათვის პირველ საჭიროების საგნების შესაძენათ.

კამათის დასრულების შემდეგ პალატა ადგენს, რომ ცხოვრების გაძვირება ფაქტია და საჭიროა მიღება შესაფერი ზომებისა მუშათა კლასის იმ მდგომარეობაში ჩასაყენებლათ, როგორშიაც ის იყო ამ სამი თვის წინათ.

(დასასრული იქნება)

ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲗᲐ ᲡᲐᲒᲭᲝᲡᲗᲐᲜ

10 ოქტომბერს შესდგა პროფესიონალური კავშირების საბჭოს წევრების კრება ალფეესი ხელაძის თავმჯდომარეობით. განსახილველი იყო შემდეგი კითხვები: 1) მოხსენება კომისიისა კავშირების რეორგანიზაციის შესახებ, 2) სახალხო გვარდიის მოსამსახურეთა კავშირის კავშირთა საბჭოში შემოერთების შესახებ, 3) მოხსენება სალიკვიდაციო კომისიისა მუშათა იაფ ფასიან სასადილოს შესახებ, 4) კავშირების თანხების შენახვის შესახებ, 5) მიმდინარე კითხვები.

პირველ კითხვაზე მოხსენებას აკეთებს ამხ. ცვანგერი, რომელიც ამტკიცებს, რომ კავშირების რეორგანიზაციის მოხდენა აუცილებელია და სასარგებლოც, რადგანაც წვრილი კავშირები ვერ უმკლავდებიან დღევანდელ გართულებულ ცხოვრებას. 39 კავშირიდან, შეერთების შემდეგ, იქნება 19 კავშირი; ერთდებიან შემდეგი კავშირები:

1) ლითონზე მომუშავეთა კავშირში ელექტრონზე მომუშავეები, შოფერები და ქიმიკოსები.

2) საკმელთა კავშირში (пищевики) შედიან—მოსამსახურენი ღვინის სარდაფებისა, მეავე წყლებისა, ლუდის, პურის, მცხობელებისა, მეფუვლეებისა, ხეთის გამომხდელებისა, ძეხვების დამამზადებლებისა, ყასბებისა, მაკარონზე მომუშავეთა, გალეტების და ჩაის დასამზადებელ ქარხნების მუშები.

3) ხელზე მოსამსახურეების კავშირში—მზარეულები და სახლის მოსამსახურეები.

4) ბეჭედითი კავშირში ერთდებიან: სტამბებში, ლიტოგრაფიაში და წიგნების საკაზმავის მომუშავენი.

5) მეთუთუნეთა კავშირში ერთდებიან: გილზზე მომუშავენი, ყუთებზე და წუმლუმაზე მომუშავენი. 6) ხეზე მომუშავეთა კავშირში—დურგლები, ყველა მუშები მაშენებლების დარგში, სახერხავი ქარხნების მუშები, მეშუშეები, „სჩოთქზე“ და კალათებზე მომუშავენი.

7) აბანოების მრეცხავების საფარეშოების მუშები.

8) „პროლეტარი ნემსის“ და მკერავი ქალების კავშირი.

9) საქსოვ კავშირში—ფეიქრები, ძაფებზე და ბამაზე მომუშავენი.

10) ფარმაცევტები, სამკურნალო დაწესებულებაში მომუშავენი, ფერშლები, ბებიები, კბილის ექიმები და ასისტენტები.

11) ტყავეულობის დასამუშავებელ კავშირში: ფეხსაცმელებზე მომუშავენი, ფეხსაცმელების გამომჭრელები და ადელხანოების მუშები.

12) მოვაჭრეთა კავშირში—კანტორებში, მომუშავენი ფართოლეულობის დაწესებულებებში მომუშავენი, ბაყლები, მწვანილზე მომუშავენი და მოანგარიშენი საკაჭრო დაწესებულებისა.

13) მუსიკა და ცეკვა.

14) საკრედიტო დაწესებულებაში—ყველა საკრედიტო დაწესებულების მოსამსახურენი.

15) ქალაქის და ერობების მოსამსახურენი.

16) მებაღეები და უბრალო მუშები.

17) სახელმწიფო მოსამსახურენი.

18) რკინის გზის მოსამსახურეთა კავშირი.

19) ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონზე მომუშავეთა კავშირი.

ამ საკითხის სირთულის გამო არსებითი კამათი გადაიდო შემდეგი სხდომისათვის, მხოლოდ დაადგინეს:

პროექტი სხვადასხვა ახალი დადგენილების და სტრუქტურა კავშირებისა დაეგზავნოს ყველა კავშირებს და უფრო ფართო მოხსენება გააკეთონ. კომისიის წევრებმა. მეორე კითხვაზე გადასწყვიტეს მიიღონ პროფესიონალურ კავშირის საბჭოსი ახლად დაარსებული სახალხო გვარდიის მუშა-მოსამსახურეთა კავშირის წარმომადგენლები.

მესამე კითხვაზე აკეთებს მოხსენებას ამხ. საღირაშვილი, რომელიც ვერ აშუქებს საკითხს სავსებით, ამბობს, რომ მუშათა სასადილომ თავის არსებობაში ზარალი მისცა კავშირების საბჭოს 45 ათასი მანეთი. ამის მიზეზები მომხსენებელმა არ დაასახელა და ამიტომ დადგინეს, რომ სალიკვიდაციო კომისია ფართოთ გაეცნოს ყველა განცხადებებს და შემდეგი სხდომისთვის დამნაშავე ამ საქმეში მისცეს ხელში საბჭოს. მეოთხე კითხვაზე აკეთებს მოხსენებას ა. ბახტაძე რომელიც მიუთითებს კავშირებს, რომ მათ მოლარეებს აქვთ საგრძნობი კავშირის თანხები, რომელიც დაუშვებელია და ამიტომ საჭიროა მოთავსონ მოსკოვის სახალხო ბანკში. წინადადება მიღებულ იქნა.

ქალაქის თვითმართველობასთან შესდგა სალიკვიდაციო კომისია, რომელიც იქნება კანტროლი მუშებისა და შრომის მიმცემების შორის. ეს გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ ამ უკანასკნელ დროს იკეტება ქარხნები სულ უმიზეზოთ და შტატი მუშებისა რჩება გარეთ, ეს სალიკვიდაციო კომისია წინდაწინ გამოარკვევს მიზეზებს და მისი დასტურით მოხდება ქარხნის დაკეტვა ან შტატის შემოკლება. სეკრეტარიატში აირჩია: ა. ხელაძე, ს. დობორჯგინიძე და საღირაშვილი.

ფარმაცევტების კავშირის მდივნის კაჩხოვის დაჭერის შესახებ ბახტაძე ამბობს, რომ მას უპოვნეს გაჩხრეკის დროს ქაღალდები და ბეჭედი, რომელიც ამტკიცებს მის მოქმედებას ჩვენი დემოკრატიული წესწყობილების წინააღმდეგ. სატარიფო პალატის მუშათა სექციის წევრი შ. აბდუშელიშვილი აკეთებს მოხსენებას, რომელიც ამბობს, რომ ამ უკანასკნელ დროს, როდესაც დავრწმუნდით, რომ მუშა ხალხის მდგომარეობა უარესდება და მათ არავითარი სურსათი, ჩასაცმელი არავინ არ მიაწოდა, სატარიფო პალატის მუშათა სექციამ წაუყენა მოთხოვნილება სახელმწიფოს, ყველა მსხვილ დემოკრატიულ დაწესებულებებს, შრომის მიმცემლებს, რომ მათ ეხლვე გაიღონ ფული, რომელიც შეადგენს 100 მილიონიან ფონდს. სატარიფო პალატასთან შემდგარი ბიურო კი შეიძენს სურსათს, ფეხსაცმელს ტანსაცმელს და სხ., რომელიც გადაეცემა იაფ ფასებში მუშებს.

ო. მაშოშვილი.

ᲐᲛᲘᲔᲠ-ᲙᲐᲕᲙ. ᲙᲝᲝᲠᲓᲘᲜᲐᲪᲘᲘᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲔ-5 ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ

მეორე დღე.

თავმჯდომარეობს **ის. რამიშვილი.** ამ სხდომაზე მოსმენილ იქნა რამოდენიმე მოხსენება კავშირის მოქმედების, ფინანსიურ მდგომარეობის და სხ. შესახებ.

პირველი მოხსენება გააკეთა **ეგზარჩიამ.** მან აღნიშნა ის უმწეო მდგომარეობა, რომელშიაც კავშირი იყო ჩაყენებული პირველ ხანებში. მას არ ქონდა ბინა, საწყობები გაბნეული იყო ქალაქში სხვადასხვა ადგილას და არ ქონდა გამჭეობას საშუალება ყოველ დროს მოეხდინა საქონლის ანგარიში და სხ. ასე ვიყავით პირველ იანვარამდე 1919 წ. [illegible] 100 ათას [illegible] მდგომარეობა ძალიან [illegible] ჩვენში არ იყო აკტიური ბანკები, სახლხო ბანკს კი არ ჰქონდა საშუალება გაეწია ჩვენთვის დიდი დახმარება. ჩვენი ძირითადი თანხა კი უდრიდა 671,368 მან. ამ ფულებში ურევია აგრეთვე საპაიო ფულები: 342,940 მანეთი, მიუხედავათ შარშანდელი ყრილობის დადგენილებისა, რომ ყველა მოკავშირე კოოპერატივებს შეეტანათ საწევრო ფული, მაინც არ იქნა შემოტანილი ყველა კოოპერატივების მიერ. ჩვენს მოქმედებას ხელს უშლიდა აგრეთვე საერთაშორისო მდგომარეობის გაურკვევლობა, შექმნილი მძიმე ეკონომიური პირობები და სხ. მიუხედავათ ამისა კავშირმა მაინც მოახერხა წარმოების გაფართოება. ეს უკვე ფაქტია, ჩვენ გვაქვს სხვადასხვა ქარხანა, ქარხნების დაარსება გამოწვეულ იყო იმ გარემოებით, რომ ჩვენთვის მიუწვდომელი შეიქნა, საერთაშორისო მდგომარეობის გამო, საზღვარ-გარეთის ბაზარი. ფულის ტრიალიც შეფერხებულია. ამ ჟამად უნდა გადაზიდოთ საქონელი და მხოლოდ მაშინ მიიღებთ სამაგიეროს. ეს ტეხნიკურათ ძალიან მოუხერხებელია.

უმთავრესათ ჩვენ ვსარგებლობდით შინაური ბაზარით. სპეკულიანტები კი ქრთამების საშუალებით ახერხებდენ საქონლის ჩამოტანას. ჩვენ კი ასეთი სისტემისთვის მიმართვა არ შეგვეძლო. თუ რა მდგომარეობაა თითეულ დარგში, ამაზე ციფრებს მოგახსენებენ შემდეგი მომხსენებელნი.

ფინანსიური ანგარიშის შესახებ მოხსენებას აკეთებს **ვლ. კორძაია.** ის აღნიშნავს საერთოდ ფინანსიურ მდგომარეობას კავშირისას, საანგარიშო წლის განმავლობაში კავშირის წმინდა მოგება უდრის 1,321,825 მან.

ბალანსის განხილვა.

საანგარიშო წლის დასაწყისში, შედარებით გასულისა კავშირის აკტივი გაზარდა (8,861,466 მ.—2 878,647 მან.) 5,982,818 მან. ეს მომატება აიხსნება იმით, რომ ბალანსზე გაიხსნა ახალი ანგარიშები, მაგალითად მწვანეულობის საწყობი პუნქტი, ძეხვის ქარხანა, შემსყიდველი პუნქტი, საქონლის შემსყიდველი პუნქტი და სხ. მთელი ქონება კავშირის პასივის მიხედვით ნაწილდება შემდეგნაირად: 22 ნახევარი პროცენტი ეკუთვნის საკუთარ თანხებს: 77,5 პროცენტი კი—სესხებს და სხვადასხვა პირებს, მათ შორის მთავრობას და მის დაწესებულებებს 50 პროცენტი.

საქონლის ბრუნვა.

საქონელი, რომელიც შეადგენს მთავარ სახსარს ბრუნვისა, იქნა შეძენილი რესპუბლიკის ფარგლებში. გარე სახელმწიფოებიდან ძალიან მცირე რაოდენობა საქონლისა იქნა შემოტანილი. საქონლის ბრუნვა იყოფა ორ ნაწილად: საკომისიო 7,336600 მან. საწყობის—11,418,125 მან., სულ 18,754,726 მან. ეს საქონელი იქნა განაწილებული შემდეგნაირად: მოკავშირე საზოგადოებებს—13,232,062 მან., კერძო პირებს და არა მოკავშირე კოოპერატივებს 5 მილ. 522,664. მ.

თანხები.

საპაიო თანხამ 1917 წ. მოიმატა 241,211 მან., 1918 წ.—26,903 მან. მომხსენებელი ყურადღებას აქცევს თანხის ზრდას 1918 წელს. შესამჩნევათ გაიზარდა აგრეთვე სპეციალური თანხებიც. 1917 წ. 1 იანვარს სპეციალური თანხა უდრიდა—567 მან. 1 იანვარს 1918 წლის—42,439 მან. და 1 იანვარს 1919 წ.—222,541 მან. კავშირს იმედი აქვს ამ თანხების შემწეობით განავითაროს კულტურული და კოოპერატიული მუშაობა.

თავისუფალი თანხა.

თავისუფალი თანხა 1 იანვარს 1917 წ. იყო 12,400 მ, 1 იანვარს 1918 წ. 446,052 მ., 1 იანვარს 1919 წ.—1,883,652 მან. ამნაირი ზრდა თანხისა აიხსნება სპეციალური, საპაიო და წმინდა მოგების ზრდით.

შემოსავალი.

წმინდა მოგება საანგარიშო წელში უდრის 1,321,825 მან. მოგების ზრდა პროცენტებში ასე გამოიხატება: 1916 წ.—0,94 პროცენტი, 1917 წელს—2,3, პროცენტი, 1918 წ. 7,05 პროცენტი—ნახიდი საქონელზე ფასზედ დამატება საშუალო რიცხვით სმეტის მიხედვით შეადგენდა 11 პროცენტს, ნამდვილად კი იყო 15,7 პროცენტი.

სავაჭრო განყოფილების ანგარიში.

მომხსენებელია გ. **წულუკიძე.** კავშირის საქონლის საერთო ბრუნვა უდრის წარსულ 1918 წელში 19,123,677 მან. აქედან მთავარ საწყობის საქონლის ბრუნვა უდრის 7,916,726 მანეთს. საკომისიო საქონლისა—7,607,255 მ. და ქუთაისის განყოფილებისა—3,599,695 მ. 1918 წლის ხარჯთ აღრიცხვით საერ-

თო ბრუნვა ნავარაუდევი იყო 10 მილ. მანეთი, ნამდვილათ კი ამ ჯამს აღემატა 9 მილ. მან. მიუხედავათ მძიმე საერთაშორისო პირობებისა, ჩვენ მაინც შევძელით ჩვენი ბაზრის მძიმე მდგომარეობის შემსუბუქება, გამგეობამ წარსულ წელს გახსნა ფოთში შემსყიდველ-განმანაწილებელი პუნქტი, სადაც 9 თვის განმავლობაში თითქმის 5 მილ. მან. საქონელმა გაიარა. ასეთივე პუნქტი გაიხსნა ბაქოში, სადაც გაიარა აგრეთვე 5 მილ. მანეთის საქონელმა. ამ ჯამიდან ჩვენში შემოტანილ იქნა 3,800,000 მან. საქონელი, ხოლო გატანილი—1,700,000 მან. უმთავრესი ნაკლი სავაჭრო განყოფილებისა ის არის, რომ მან ვერ შესძლო შინაურს ბაზარზე ეწარმოებინა ნედლი მასალის და სხვა ადგილობრივი ნაწარმოებების შესყიდვა; დამზადება და შემდეგ საზღვარგარეთ გატანა ჩვენთვის საჭირო საქონელზე გადასაცვლელად. ამის მიზეზი იყო საერთოდ პოლიტიკური მდგომარეობის გაურკვევლობა და თავისუფალი თანხის უქონლობა.

შემდეგ მიდის შალვა რამიშვილის მოხსენება, რომელსაც ცალკე დავბეჭდავთ.

კულტურულ განმანათლებელ განყოფილების მოქმედება.

მომხსენებელია შ. გოგებაშვილი, რომელიც აღნიშნავს იმ დახმარებას კულტურულ სფეროში, რომელიც აღმოუჩინა განყოფილებამ. ინსტრუქტორული დახმარება აღმოუჩინეთ მოკავშირე კოოპერატივებს და მათ კავშირებს მივაწოდეთ ინსტრუქტორები და აგრეთვე გავხსენით კურსები კოოპერატორების მოსამზადებლად: ქ. სიღნაღში, ჭიათურაში, ზესტაფონში, სამტრედიაში, აბაშაში, ოზურგეთში და რაჭაში. ინსტრუქტორები ორის მხრით აწარმოებდენ მუშაობას. ერთის მხრივ ინსტრუქტორთა ძალები ხმარობდენ უმთავრესად კოოპერატივებში ტეხნიკურ მხარის მოწყობას და კოოპერატიულ პრინციპებზე მუშაობის დამყარებას და მეორეს მხრივ პრაქტიკულ მუშაობის პროცესში მზადდებოდა საჭირო კადრი ინსტრუქტორებისა.

მეორე დარგი კავშირის კულტურულ განმანათლებელი მუშაობისა არის გავრცელება კოოპერატიული პრინციპებისა პერიოდულ გამოცემებით. კავშირმა გაიჩინა საკუთარი ჟურნალი „კავშირი“, რომელიც შეძლების დაგვარად ემსახურებოდა კოოპერაციას. 1918 წლის დასასრულს სამრეკველი ჩაეყარა მეორე უფრო დიდ და საერთო ხასიათის ჟურნალ „შვიდ მნათობს“, მივაქციეთ უფრადღება აგრეთვე საერთო გამომცემლობის საქმეს, 1918 წლის განმავლობაში გარდა კოოპერატივების ანგარიშების და საქმის საწარმოებელ წიგნების მთელი კომპლექტისა, გამოიცა 18 ბროშიურა, სხვადასხვა წიგნები ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე. საკუთარ გამომცემლობასთან ერთად კავშირის წიგნების საწყობი აწვდიდა კოოპერატივებს სხვადასხვა წიგნებს და ბროშიურებს.

ჩვენ დავაარსეთ აგრეთვე სტატისტიკური განყოფილება, რომელიც შეუდგა მუშაობას და 1917 წ.—1918 წ. კოოპერატიული მოძრაობის მასალები უკვე დაამუშავა და დაბეჭდა კიდევაც.

კულტურულ განმანათლებელ დარგში თანდათანობით უმზადდება ნიადაგი კიდევ სხვა მრავალგვარ საჭირო განყოფილებას, როგორიცაა, იურიდიული, კოოპერატიულ დამზღვევის, სამუსიკო დრამატიულს და სხვ ასეთი იყო კულტ. განმან. განყოფილების მუშაობა 1918 წ.

ევგენი დარჩია აკეთებს მოხსენებას კავშირის ქუთაისის განყოფილების შესახებ, მოხსენებიდან ირკვევა, რომ ქუთაისის განყოფილების არსებობა თავის დროზე აუცილებელი საჭირო ყოფილა, ამ ჟამად კი არ არის საჭირო და უნდა გაუქმებულ იქნას.

შემდეგ მოსმენილ იქნა სარევიზიო კომისიის და ზედამხედველ საბჭოს მოხსენებები, რომლებიდანაც გამოირკვა, რომ კავშირის გამგეობის მოქმედებაში არავითარი ბოროტმოქმედებას არ ქონია ადგილი. სარევიზიო კომისიამ და ზედ. საბჭომ გამგეობას მიუთითეს ზოგიერთ დეფექტებზე და მომავალ მუშაობის გეგმაზე. საერთოდ გამგეობის მოხსენება დაადასტურეს სარევ. კომ. და ზედამხედველმა საბჭომ. შემდეგ გაიმართა კამათი. კამათში მონაწილეობა მიიღეს: დ. დავითაიამ, ტყავაძემ, ქარუმიძემ და დადვაძემ. ისინი საერთოდ ამტკიცებდნენ წარმოდგენილ ანგარიშს და ზოგიერთ დეფექტებზე მიუთითებდენ გამგეობას. მათ დასაბუთებული პასუხი გასცა ევგ. დარჩიამ, რომელიც ტაშით დაჯილდოვეს. დასასრულ მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: „ყრილობამ მოისმინა რა მოხსენება გამგეობისა, სარევიზიო კომისიის და ზედამხედველი საბჭოსი, ამტკიცებს წარმოდგენილ ანგარიშს, გამგეობის მოქმედება მიაჩნია დამაკმაყოფილებლად და გადადის მორიგ საქმეებზე“.

ს.-დ. პარტიაში

ჭიათურა. 6 სექტემბერს შესდგა ჭიათურის ს.-დ. მ. პ. წევრთა საზოგადო კრება. დღის წესრიგი: 1) მოხსენება კომიტეტისა, 2) მოხსენება ანგარიშების შესახებ, 3) სარევიზიო კომისიის მოხსენება, 4) არჩევნები ახალი კომიტეტისა. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ამხ. ზ. გურული, მდივნათ ს. წერეთელი. ზეპოხსენებული კითხვები მოსმენილ და დამტკიცებულ იქნა. ამხ. ზ. გურულის მოხსენება დამფ. კრების ფრაქციის მუშაობის შესახებ გადაიდო მომავალი კრებისათვის. კომიტეტში არჩეულ იქნენ: გ. ა. ანოელიძე, პლ. მოდებაძე, თ. კალანდაძე, მ. დობორჯგინიძე, ს. ცერცვაძე, ს. სიხარულიძე და ალ. ვაშაკიძე. კანდიდატებათ: ის. ხარატიშვილი, ა. კუპატაძე და ს. კაკაბაძე; სარევიზიო კომისიაში: ე. თოდუა, ი. პეტრიაშვილი და ს. კაციტაძე.

14 სექტემბერს მოხდა ახალი კომიტეტის სხდომა. პრეზიდიუმში არჩეულ იქნა თავმჯდომარედ ს. სიხარულიძე, მის ამხანაგად და ხაზინადრათ ის. ხარატიშვილი. ძველი კომიტეტის ქონების ჩაბარება უნდა მოხდეს მდივნის დაბრუნების შემდეგ. ქალთა წრიდან სათათბირო ხმით ესწრებიან ისევ ძველი წარმომადგენლები. კომიტეტმა თავის ფინანსიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად აირჩია კომისია შემდეგი პირებისაგან: თოდუა, ს. ფალავა, დ. კლდიაშვილი, ვ. რამონიშვილი, ს. ვაშაძე, ჰ. წერეთელი, კალისონია, ბრეგაძე და ვ. თევზაძე.

26 სექტემბერს შესდგა სხდომა ჭიათურის კომიტეტისა და საფინანსო კომისიისა. გადაწყდა სუბსიდიები დაიდგას. ტეხნიკური მხარეების მოსაწყობათ არჩეულ იქნა კომისია.

ძველი დარაჯი.

ცემი. 4 ოქტომბერს შესდგა ცემის ს. ს. დ. მ. პ. ორგანიზაციის მორიგი კრება. მიმდინარე მომენტზე მოხსენება გააკეთა ამხ. გრ. კელენჯერიძემ. მიღებულ იქნა სათანადო რეზოლიუცია. ვინაიდან ორგანიზაციის თავმჯდომარის ამხანაგი, გვარდიელი მ. ტაბატაძე შტაბში იმყოფება, კრებამ დაადგინა, აირჩეს მისი კანდიდატი. ერთხმად იქნა არჩეული ეოკიმე ტაბატაძე. დაადგინეს შაბათის მაგივრად კრებები იმართებოდეს კვირაობით, თვეში ორჯელ.

თავმჯდომარე ი. მგელაძე.
მდივანი თ. მ. ხვიჩია.

მუშათა შორის

ქ. სამტრედია. 5 ოქტომბერს, რკ. გზის საკრებულოში რკ. გზ. პროფ. კავშირის გამგეობამ მოიწვია მუშა-მოსამსახურეთა მიტინგი, სადაც მოწვეულნი იყვნენ მოხსენებების გასაკეთებლათ დამფ. კრების თავმჯდომარის ამხანაგი ალ. ლომთათიძე და დამფ. კრ. წევრი ისიდორე რამიშვილი. მიტინგს, ძვირფასი სტუმრების მოლოდინის გამო, დიდძალი ხალხი დაესწრო, იყვნენ არა რკინისგზელებიც. კრებას ხსნის რკ. გზ. პროფ. კავშირის გამგეობის თავმჯდომარე ი. კოკაბიძე.

პირველად ლაპარაკობს ის. რამიშვილი ის ფართოდ ეხება ჩვენ შინაურ მდგომარეობას, მომენტს.

შემდეგ ვრცელ მოხსენებას აკეთებს ალ. ლომთათიძე. მან ფართოდ გაარკვია ჩვენი მთავრობის საგარეო პოლიტიკა.

კრებამ ორივე ორატორი ხანგრძლივი ტაშის ცემით დააჯილდოვა.

იყო შეკითხვები, რაზედაც ვრცელი და დამაკმაყოფილებელი ეასუხი გასცა მომხს. ალ. ლომთათიძემ. ილაპარაკა აგრეთვე ს. რ. ი. თევზაძემ.

უკანასკნელი სიტყვები სთქვეს მომხსენებლებმა.

ბოლოს კრება ერთხმად ღებულობს შემდგ რეზოლიუციას:

„მოვისმინეთ რა მოხსენება ამხ. ისიდორე რამიშვილისა და ალ. ლომთათიძის. სამტრედიის რაიონის რკ. გზის მუშა-მოსამსახურეთა მრავალრიცხოვანი კრება, სადაც ესწრება აგრეთვე ქალაქ სამტრედიის მცხოვრებნი, სრულიად იწონებს ჩვენი მთავრობის და დამფუძნებელ კრების მიერ გადადგმულ ნაბიჯებს, როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაში და აღუთქვამს მათ ჩვეულებრივათ მხარის დაჭერას ყოველნაირ ნაბიჯებში დემოკრატიის საკეთილდღეოთ“.

კრება დიდათ ნასიამოვნები ძვირფას ამხანაგების მოხსენებებით იშლება და ტაშის ცემით აცილებს მომხსენებლებს.

ლევანიძე.

პროვინცია

გორის სამაზრო ერობის მოხელეთა კავშირი.

ეს კავშირი არსებობს თითქმის ხუთი თვეა, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო იგი ენერგიულად ვერ მოქმედებდა. დღემდის თვით კავშირის წევრებიც გულგრილად უყურებდნენ შეკავშირების საკითხს. იყვნენ ისეთი ნაწილი მოხელეებისა, რომლებიც იძახოდნენ, რომ „რათ გვინდა კავშირი დემოკრატიულ ერობის გამგეობასთან ჩვენ ხომ იმათ ოპოზიციაში ვერ ჩაუდგებითო“. იყვნენ მეორე ნაწილი უფრო მკაცრი დემოკრატებისა, რომლებიც ამბობდნენ, რომ „არა ჩვენ უნდა კრებაში ჩაუდგეთ ერობის გსმგეობას და ჩვენთვის მოვითხოვოთ ყველაფერი და მათთვის კი არაფერიო“ და ასეთი შინაარსიან კავშირის წესდებაც შეიმუშავეს, თუმცა კავშირის ახალ გამგეობას ერთხელაც არ უხელმძღვანელებია ამ წესდებით. ამ ბოლო ხანების უკულმართმა ეკონომიურმა პირობებმა ორივე მხარე შეაერთეს და მოკედეს ხელი ერთად მუშაობას. შეიმუშავეს 7 მუხლიანი კატეგორიები, და გახადეს ჯამაგირების მინიმუმი ათასი მანეთი და მაქსიმუმი ორი ათასი. რაც ერობის გამგეობამ სამ მუხლებში ჯამაგირების კიდევ გადიდებით მიიღო და დაამტკიცა. 14 სექტემბერს მოხდა კავშირის კრება, რომელზედაც დაესწრო 70 კაცამდე და სადაც წარმოსდგა კავშირის გამგეობა და სარევიზიო კომისიის წევრები მოხსენებით და 13 მუხლიან კანონ-პროექტით სასურსათო ფონდის დაარსების შესახებ, რაც კრებამ მთლიანად დაამტკიცა. მოკლეთ ამ კანონ-პროექტის შინაარსი ასეთია: ყველა კავშირის წევრი იხდის 4 თვის განმავლობაში ათ პროცენტს თავის ჯამაგირიდან და ამდენსავე იხდის ერობის გამგეობა, რაც 4 თვის განმავლობაში შეადგენს 150000 მან. ამ თანხით სასურსათო საბჭო პირველ ყოვლისა ფურნეს, სასადილოს, საჩაიეს და პურს (ხორბალს) სისტემატიურად სამყოფს აძლევს ჯამაგირის ანგარიშით ერობისგან. ერობის გამგეობას ეძლევა სრული უფლება თუ მოისურვებს, რადგან ნახევარი თანხა მათია, მიიღოს მონაწილეობა სასურსათო საბჭოში ან კიდევ, როცა მოისურვებს, გაუკეთოს რევიზია საბჭოს მუშაობაში. ასეთი კანონ-პროექტი კავშირის მიერ მიღებული გადაეცა ერობის გაგმგეობას დასამტკიცებლად. მოხელეების იმავე 14 სექტემბრის კრებაზე წაიკითხეს ჟურნალი „მუშათა ცხოვრების მოწოდება“, სადაც თხოულობს ჟურნალი ორ მანეთიან ერთდროულ დახმარებას ყველა კავშირის წევრებისაგან. აქაც კრებამ ერთხმად გადასწყვიტა, რომ ჩქარა მოგრავილიყო ეს ფული და გაგზავნოდა ჟურნალს, რაც იქმნა სისრულეში მოყვანილი მეორე დღეს.

დასასრულ მინდა ვსთქვა, რომ თუ ეგრე სოლიდარულად იმუშავებენ ამ კავშირის ყველა წევრები, როგორც ამ ბოლო ხანებში, ბევრ რამეს გააკეთებენ თავიანთ და სამაზრო ერობის სასარგებლოდ.

კავშირის თავმჯდ. ვ. მაღულარია.

წერ. რედაქციის მიმართ

ბ ნო რედაქტორო! თქვენს პატივცემულ გაზეთ „ერთობა“-ს № 222-ში (ქრონიკაში) ცნობა იყო გამოქვეყნებული ვითომდა ხაშურის რკინის გზის რაიონის მილიციის უფროსის თანაშემწე ბესარიონ მუმლაძის, კახეთის რკინის გზის რაიონის მილიციის უფროსის საქმის მწარმოებელ არონ იმნაიშვილის, თფ. რკ. გზ. რაიონის მილიციის უფროსის თანაშემწე ვაშაკიძის და ამავე რაიონის უფროს მილიციელ ბურძგლას მეთაურობით აღმოჩენილა ორგანიზაცია ყალბი ბილეთების, პლაკატების და შტემპელების; ამ ფაქტის გამოქვეყნება რამოდენიმე ხნის შემდეგ უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა, რადგანაც ჩვენ ვსცდილობდით ამ ფაქტთან დაკავშირებული სხვა ბოროტებებიც აღმოგვეჩინა; ვინაიდან ეს ასე არ მოხდა მე, როგორც დარგის უფროსი და მეთვალყურე ამ ორგანიზაციის აღმოჩენის პროცესისა, რომელმაც შეიწირა დიდძალი ენერგია და დაუღალავი შრომა ორი თვის განმავლობაში, გადაჭრით უნდა ვაღიარო, რომ ამ ბოროტების აღმოჩენა სრულებით არ ეკუთვნის მილიციის აგენტებს, არამედ რკ. გზ. მოძიებობის დარგის მოსამსახურეებს, ადმინისტრაციის და ცენტრალური პროფესიონალურ კავშირის წევრების დახმარებით.

მე უნდა აღვნიშნო, რომ ამ ბოროტების აღმომჩენელებს (ჩემს თანამშრომლებს) მხოლოდ ახალისებდა რევოლუციონური შეგნება და სამსახური თავის მოქალაქობრივ მოვალეობისადმი.

როდესაც მე უცილებლად მიმაჩნია თქვენივე გაზეთის საშუალებით გამოვაქვეყნო სწორი ცნობა, რომ ამ ბოროტების აღმოჩენა ეკუთვნის მხოლოდ რკინის გზელებს და არა მილიციას, მე ამით სრულიად არ მინდა ქება და დიდება ხალხის თვალში მიუძღვნა ამ ბოროტების აღმომჩენელებს; არც ის მინდა, რომ მილიციას თავის მნიშვნელობა დაჰკარგოდეს. მე მსურს მხოლოდ, რომ ინიციატივა ამ საქმის აღმოჩენის ეკუთვნოდეს მხოლოდ და მხოლოდ ნამდვილ აღმომჩენელებს ე. ი. რკინის გზის მოძრაობის დარგის აგენტებს.

ექსპლოატაციის უფროსი **აბელი შვილი.**

გ. პეტრე მელიას ნერილის გამო

(დასასრული)

ახალი სასურსათო საბჭო შესდგა ამ წლის 13 მარტს. 17 მარტს საბჭოს სხდომაზე, სხვათა შორის დასმული იყო დღიურ წეს რიგში კონტრაგენტ მელიას საკითხიც. საბჭოს ამ კრებამ აირჩია კომისია. ამ კომისიას უნდა გამოერკვია მელიას საქმე. კომისიის თითქმის ყველა კრებებზე მოწვეული იყო ბ. მელიაც. ამ კრებებს ესწრებოდა საბჭოს იურისკონსულიც ბ. ლომნაძე. კომისია, გაეცნო რა საქმის ვითარებას, იმ აზრს დაადგა, რომ მელიასთან საქმე მორიგებით გათავებულიყო და კონსერვების დამზადება დაუყონებლივ განახლებულიყო. რამდენიმე კრების შემდეგ ჩვენ და მელიას შორის მოხდა სრული შეთანხმება. წამოყენებული იყო სამი პირობა: 1) ჩვენ უნდა მოგვემატებინა კონსერვებზე ფასები და ბ. მელიას უნდა განეახლებინა კონსერვების დამზადება, 2) მას თავისი ზავოდი უნდა გადმოეცა ჩვენთვის განსაზღვრულ პირობებში, თვითონ მელიას უნდა ეკისრნა ამ ზავოდის გამგის თანამდებობა და 3) თუ მელია გამგის თანამდებობას არ იკისრებდა მაშინ საბჭო მოიწვევდა სხვა გამგეს. საქმე გათავებული იყო, ხოლო მელიას კომისიამ წინადადება მისცა წარმოედგინა წერილობითი პირობები და აირჩია ამ ზემოთ მოყვანილი სამი პირობიდან ის, რომელსაც ის თავისთვის სასარგებლოთ დაინახავდა, ამ მოსაზრების წერილობით წარმოსადგენათ მელიამ მოითხოვა—ხუთი დღე. ჩვენ ეს ხუთი დღის ვადა მივეცით. ხუთი დღის მაგივრათ მან ორი კვირის შემდეგ წარმოადგინა თავისი—მოსაზრებანი, მაგრამ ჩვენს გაკვიცებას საზღვარი არა ჰქონდა, როდესაც გაეცანით მის „მოსაზრებას“. აქ ლაპარაკია ყველაფერზე და ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი იმ კონკრეტულ პირობებზე, რომელშიც ჩვენ მას შეუთანხმდით.

ამის შემდეგ ჩვენთვის ცხადზე უცხადესი იყო, რომ მელია გვატყუებდა. მას კონსერვების დამზადება არ აინტერესებდა. კომისიის წევრებისათვის ცხადი იყო, რომ მელია ჩვენთან მოლაპარაკებას განგებ აგრძელებდა, დროს იგებდა და ამ დროს განმავლობაში წაღებულ ეესტის სპეკულიაციას გაცხარებით აწარმოებდა. ჩვენ დავრწმუნდით რა ამაში, მელიას მოვთხოვეთ წაღებულ ეესტის აღგარიშები. მელია ყოყმანობდა და გადაწყვეტილ პასუხს არ გვაძლევდა, გვარწმუნებდა, რომ ეესტი მას არა აქვს არც გაყიდული და არც დაგირავებული; ჩვენ კი ცნობები გვქონდა, რომ მას ეესტის ერთი ნაწილი უკვე გაყიდული აქვს და მეორე ნაწილი დაგირავებული. ჩვენ კატეგორიულათ მოვითხოვეთ ეჩვენებინა სადა აქვს ეესტი. მან ბევრი ყალთაბანდობის შემდეგ ჩვენ მოთხოვნაზა უარი გვითხრა. ამის შემდეგ ჩვენ შევუდექით ეესტის ძებნას სხვა გზით და ერთ ალაგას აღმოვაჩინეთ 2000 ფ. როდესაც კონსერვების ზავოდში მივედით, იქ სანგარიშო წიგნებში შემოსული იყო 1000 ფ. ზავოდის საწყობებში ეს ეესტი არ აღმოჩნდა და არც წიგნებში იყო ნაჩვენები, თუ სად წავიდა ეესტი. მელიას კომპანიონმა და მოსამსახურეებმა გვითხრეს რომ ეს ეესტი მელიამ ისევ უკან წაიღო კერძო საწყობებშიო. თუ სად, რომელ საწყობში წაიღო მელიამ ეესტი, ამაზე მათ უარი გვითხრეს. აქედან აშკარაა, მელია სცდილობდა ეესტი გადაემალა, რადგან გრძნობდა რომ ამ ეესტს მას წართმევდენ.

მკითხველი ჰხედავს, რომ ახალმა სასურსათო საბჭომ ყოველნაირი ზომები მიიღო, რომ მელიასთან საქმე მორიგებით გათავებინა, მაგრამ მან ეს არ ინება და ახლა კი გამომდგარა გაზეთ „საქართველოს“ ფურცლებზე და მედიდურათ ლაპარაკობს, რომ ახალმა საბჭომ მას ყურადღება არ მიაქცია.

მესამე ნაწილი მისი წერილისა შეეხება ბ. ფ. მგელაძეს. აქ ბ. მელია სცდილობს დაამტკიცოს, რომ მის დაჭერას პირადი ხასიათი ჰქონდა, რომ ფ. მგელაძეს მასთან ცუდი განწყობილება ჰქონდა და ამ უკანასკნელმა გ. სოლოგაშვილის შემწეობით მოახერხა მელიას დატუსაღება. უნდა მოგახსენოთ, რომ აქაც, როგორც ყველგან და ყოველთვის ბ. მელია სინამდვილეს ღალატობს. მელიას დამოკიდებულებას ფ. მგელაძესთან ამის შესახებ მე მკითხველს ვურჩევ თუ ჯერ არ წაუკითხავს—წაიკითხოს ფ. მგელაძის წერილები (იხ. გაზ. „საქართველო“ 23 სექტემბრის № 205, „ერთობა“ 25 სექტემბრ. № 217 სათაურით „საბაღოსნო სკოლის გარშემო“). ამ წერილებიდან მკითხველი დაინახავს, რომ ბ. მელია დიდი ხანია სპეკულიაციას ეწევა და დიდი ხანია მან თფილისის საბაღოსნო სკოლის შენობა სპეკულიანტების სავაჭრო სახლათ გადაქცია... ეს ასეა და როდესაც ასეთი ადამიანი გამოდის გაზეთის ფურცლებზე და დიდის რიხით იცავს ჩვენი „ნორჩი“ რესპუბლიკის ხაზინის ინტერესებს, ამას ჩვენ შეგვიძლია ვუწოდოთ მხოლოდ ცინიზმი.

ვ. ცაბაძე.

განცხადებანი

5 ოქტომბერს ამა წ. ყორულის მინდორში დაგკარგე გარე-კახეთის სახალხო გვარდიის შტაბის მიერ მოცემული იარაღის ნებართვის კნიშკა საერთო № 29., რომელიც გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს. ერესტი თედიაშვილი.
(2667—1—1)

იყიდება
კარგათ მოწყობილი
სასტალიარო სახელოსნო.
პირობების გაგება შეიძლება სიკოლიდილაშვილთან. რუსთაველის ქ № 12, მე 3 სართული. (ნ 1—1)

7 ოქტომბერს ბათუმიდან ჩამოსვლის დროს თფილისის სადგურზე
დაკარგე
უვადო პასპორტი, № 1839 რაჭის მაზრის მცხოვრებელმა მიხეილ დავითის ძე ბაქრაძემ, გთხოვთ ჩაითვალოს გაუქმებულათ. 2775—1—1

იყიდება
ბუხღალტერია
ს. ტარუაშვილისა
წერა-კითხვისა და „განათლების“ მაღაზიაში. იბეჭდება ს. გლახაშვილის ნაწერების პირველი ტომი.

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა **ბ. ბ. ბინბაბიანცი**
შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენი—ელექტრო-წამლობის კაბინეტში; ხასინჯვა და წამლობა XI სხივებით, დიდი სალექოიდი და არსენვალი. ტოკეთ ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის, დარიბებს უფასოთ ყოველ დღე დილის 8—12 საათამდე და საღამოს 6—9 ს. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92.

ექიმი **დ. ს. ჯავახიშვილი.**
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ დილით 8—9 ს-დის და საღამოთი 4—6 ს-დის. მიხეილის პროსპ. № 64. (საავადმყოფოს ახლოს) ტელეფ. 14—60. (თ.—2662.)

ექიმი **ა. ლევენშტეინი**
შინაგანი ავადმყოფობანი. ყოველმხრივი გამოკვლევა და ფიზიკური მეთოდებით აქიმობს გულის, ფილტვების, კუჭის და ჰაჭვის ავადმყოფობათა. **რენტგენის სხივები.** კრილოვის ქ. სახლი № 5 გონიელოვისა, ბინა № 3. მიღება დილის 11—12 საათ. და საღამოს 4—6 საათამდე. (თ. 2642)

ექიმი **ნ. დ. ფშავაშვილი**
იღებს ავადმყოფთ შინაგან, ქალურ და საბებიო სნეულ. მუდან დღე 11—1 საათამდე, ნიკოლოზის ქუჩა № 7 ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, სიმხვიჩის ფოთიაქის გვერდით.

მედიცინის დოქტორი
ა. ა. ბოლსი.
ნერვიული, შინაგანი და საბავშვო ავადმყოფობანი ელექტრო სხივებით მკურნალი კაბინეტი, ჰიპნოზი შთაგონება. ავადმყოფების მიღება დილის 10 მახ.—1 საათამდე, საღამოს 6—7 საათ. კვირაობით და ხუთშაბათობით საღამოობით ავადმყოფები არ მიიღებიან. მიხეილის ქ. (პლეხანოვისპრ.) № 111 ტელ. 13—42.

დოქტორი ი. ი. ბებეშვილი.
სისხლის გამოკვლევა სიფილისიანზე (Wasserman'-ის რეაქცია) ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა დიფტერიტზე, ტიფზე, გონოკოკზე და სხვ. პირადათ ნახვა ტელ. ... 5—7 საათ. ... ტელ. 8 საღ. 8 საათ. გრიბოედოვის ქ. № 12 ტელეფონი 16—82.

ექიმი **ბესარიონ ჯაჯოვი**
მიიღებს განსაკუთრებით ყელის, ყურის და ცხვირის ავადმყოფებს ყოველ დღე 11—12 საათ. დილით, 5—7 საათ. საღ. მიხეილის პრ. 117, ტელ. 13—27.

ექიმი **ი. ჩიჯავაძის** ბაქტერიოლოგიური, სერო დიაგნოსტიური და ქიმიურ-მიკროსკოპიული **ლაბორატორია**
იღებს გამოსაკვლევად სისხლს: Wassermann-ის; Weinberg-ის, Widal-ის რეაქციები, სრული კლინიკური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა, მალარია, Opermeyer-ის სპიროჰეტები და სხვა. შარდს, გვნავალს, ნახველს, რძეს, ლორწოს, ჩირქს, ხერხემლის ტვინის სითხეს, კუჭის სითხეს და სხვა. ამზადებს აუტოგენიურ ვაქცინას. 26 მაისის (ოლღას) ქუჩა. გაბაანთ შესახვევი № 3. მასალა მიიღება დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

ექიმი **ა. ბ. ჟუთათელაძე**
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ საღ. 5—7 საათ. გარდა კვირისა. მიხეილის პრ. № 55. ფოსტის პირდაპირ. ტელ. 10-46.

დოქტორი **რომანიუს ბაკაური.**
სპეციალურად ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებიან ავადმყობთა მიღება დილის 11—12 საღამოს 4—5 ნახ. საათ. გერმანელთა სამხედრო საავადმყოფოში ნაბერეტენაი ქ. № 15 კვირა დღეების გარდა (2603—2—2)

ექიმი **ბ. ბ. შაშიკაძე**
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშლაპუნები „606“ და „914“-ენერიოლი (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 3—8 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი: ოდესის ქუჩა № 33

კბილის ექიმი
ბ. ბ. ბიბაშარ-ბაბაკიანი
იღებს კბილისა და პირის ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და საღამოს 4—7 საათამდე. გრიბოედოვის ქუჩა № 15 ბინ. 3. კონსერვატორიის მახლობლად.

ექიმი **დ. ა. სარალიძე.**
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ საღამოს 6—7 საათამდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87. ავეჭალის აუდიტორიის ახლო.

დოქტორი **ბ. ბოლდუტეინი.**
თვალის ავათმყოფობანი „ამორჩევა სათვალეებისა. მიღება 8—12 საათამდე და საღ. 4—7-დე ნიკოლოზის ქ. № 32.

ექიმი ქალი **ნ. ს. ზეზელ-ხაბაშვილი**
ფედიცინის დოქტორი ენენეის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ ქირურგიულ კოლეჯისა. იღებს ყოველდღე შინაგან ქალის და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საბებიო დარიგებას სიფილისის წამლობა (606—914) დილის 10—12 ს. და საღამოს 5-6 ს. პლეხანოვის პრ. № 119, ტელეფონი № 9—26.

ექიმი **იოსებ რაფაელის ძე ცინცაძე**
იღებს ვენერიულ სნეულ. ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათ. ყოველდღე. პლეხანოვის პრ. № 121, ბინა 4, ტელეფონი 11—06.

ექიმი **ბ. დ. ძაძაშვილი**
სიფილისი და ვენერიული სნეულებანი. შეშლაპუნები „606“ და „914“ მიღება დილით 9—11, საღამოთი 4—8 ს. მიხეილის პრსპ. ხასტუშრო „ნოე“-ს პირდაპირ № 116 ტელ. 14—38.

ექიმი **ნ. ბ. ჯაფარიძე**
ლეგეულობს შინაგან, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულობით ავათმყოფებს დილის 12—1-ს. საათ. საღამოს 5—8 საათ. მისამართი: ბაგოიოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, ტელეფონი 16—65.

მოძღ. საზ. „აღორძინების“ გამგეობა

ამით აცხადებს, რომ საზოგადოების წესდების ძალით მ. წ. 3, 4 და 5 ნოემბერს მოხდება რწმუნებულების არჩევა. აღნიშნულ დღეებში საზოგადოების მაღაზიებში დადგმული იქნება საარჩევნო ყუთები, იქვე დაიწყება საარჩევნო ბიულეტენების დარიგება ერთი კვირით ადრე არჩევნებამდის და გაგრძელდება არჩევნების გათავებამდე. წევრებს შეუძლიან ხმა მისცენ ან მაღაზიებში, სადაც ისინი ჩაწერილნი არიან, ანდა იმ რაიონის მაღაზიაში, სადაც ცხოვრობენ. რწმუნებულები უნდა აირჩიონ: სადგურისა და ზალაკანის მაღაზიებმა (არჩევნები სადგურის მაღაზიაში)—18 კაცი; ავლაბრისა და ბელოგოსკის მაღაზ. (არჩევნები ავლაბრის მაღაზიაში)—34 კაცი; ნაძალადევის მაღზ.—16 კაცი; დიდუბის—10 კ. ვერისა და მამადავითის მაღზ. (არჩევნები ვერის მაღ.)—21 კ. საბურთალოს მაღ.—8 კ. ერთობის უბნის და თუმანოვის მაღ. (არჩევნები ერთობის უბნის მაღ.)—14 კაცი. არჩევნების წინ მოხდება რაიონული კრებები. დრო და ადგილი თუ სად უნდა მოხდეს ეს კრებები ცალკე იქნება გამოცხადებული

(2674—1—1)

მცხეთელი

ქართულ საქველმოქმედო საზოგადოება

1 ლ (14) ოქტომბერს, სამშაბათს, სვეტიცხოვლობა დღეს მართავს ძეგლთის ტაძრის გალავანში, მის უწმინდესობის, სრულიად საქართველოს კათალიკოსის ნებართვითა და ლოცვა-კურთხევით, საზეიმო გამოფენაა საზ-ის საბელოსნოთა ნაწარმოებისა: გამოფენილ იქნება გასასყიდათ ქაშანურის (კერამიკის) ყველანაირი ჭურჭელეულობა, შალეულობა, ქსოვილები და სხვა. საზოგადოებისა და მცხეთის ტაძრის სასარგებლოთ შეიკრიბება ყველაფერით შემოწირულებანი; მოწყობილ იქნება ბუფეტი ჩაით, სიუბმით და სასმელებით ცალკე დაცემულ კარვებში. საზეიმო დღის დიასახლისები ბრძანდებიან: მ. ქ. რიმაშვილისა; ა. ვ. ხომერიკისა, ნ. ნ. გაბაშვილისა, თ. გრ. დადიანისა, ქ. ჯ. ამირეჯიბისა.

(2772—1—1)

მსწრაფელ მხატვარი სტამბა რუსთაველის გამზეურის შესახვევი № 4